პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

19 იანვარი
ხუთშაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4 რედაქცია ღია
ყოველ დღე [illegible]
უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 14-76 მდივნის
№ 19 საერთო №

15 ხუთშაბათი, 19 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 19 იანვარი 1922 წ. № 15

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების
ყრილობა.

1921 წლის 6 დეკემბრის, კავკასიის საოლქო პარტიული თათბირის და რ. კ. პ. ც. კ. კავშირის დადგენილების თანახმად,

18 თებერვალს 1922 წელს ქ. თბილისში მოწვეულია

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების
ყრილობა

წარმომადგენლობის ნორმა: პარტიის წევრებისა და კანდიდატების 150 კაციდან ირჩევა ერთი დელეგატი.

დელეგატები ირჩევა ადგილებზე სამაზრო პარკონფერენციების მიერ.

დღის წესრიგი:

1. რ. კ. პ. ც. კ კავბიუროს ანგარიშები.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა.
4. პარტიული აღმშენებლობა.
5. პროფესიონალური მოძრაობის ამოცანები ამიერ-კავკასიაში.
6. საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრან ყრილობაზე.

დელეგატების რეგისტრაცია მოხდება რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს აღმრიცხავ ქვეგანყოფილებაში (ქ. თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა, სახ. № 8 მესამე სართული).

რ. კ. პ. ც. კ კავბიუროს მდივანი **ნაზარეტიანი.**

---

21 იანვარს, პარასკევს, დღის 4 საათზე

საქართველოს რევკომის შენობაში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის

თბილისის ორგანიზაციების კონფერენცია

ყველა ორგანიზაციების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ლოლობერიძე,**

დღეს, 19 იანვარს, ხუთშაბათს დღის 4 საათზე

სახალხო სახლში შესდგება

თბილისის მუშებისა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სასწრაფო გაფართოებული
სხდომა

პროფსაბჭოს პლენუმსა, ადგილობრივ კომიტეტებსა, ფაბკომებსა და ქარხკომებთან ერთად.

უკრაინასა და ოსმალეთს შორის ხელშეკრულების დადების გამო, მოხსენებას თემაზე

„ანატოლიის ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა“

გააკეთებს საბჭოთა უკრაინის საგანგებო რწმუნებული ამხ. ფრუნზე.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

„თუ გსურს ზავი, ემზადე ომისთვის“

საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველა სამხედრო ინტერვენციების ცდა რუსეთში დღემდი დამარცხებით გათავდა. საბჭოთა წითელი არმიის ძლიერებაზე, რუსეთის მშრომელი მასების ერთსულოვანებასა და ევროპის პროლეტარიატის ხშირათ აქტიურ დახმარებაზე დაიმსხვრა ჯალათური გეგმები კაპიტალისტების. მაგრამ ბრძოლის გამომწვევი მიზეზები ისევ ძალაში არიან: ერთი მხრით საბჭოთა რესპუბლიკები თანდათან მტკიცდებიან, მათი მდგომარეობა მაგრდება შიგნი, მათი გავლენა ფართოვდება გარეთ, მებრძოლი პროლეტარიატი მსოფლიოსი მათში ხედავს თავის ციხე სიმაგრეს, რევოლიუციონური ტალღები იქ ჰპოებენ თავის გამოსავალ სტიქიის და აგორებული ეხეთქებიან კაპიტალის ტახტებს. მეორე მხრით ეს უკანასკნელები, თუმცა ჩათრეული შეუჩერებელი ნგრევის პროცესში, კვლავ ბრძანებლობენ მთელ რიგ დიდ სახელმწიფოებს. ცხადია შეთვისება ამ ორი სამყაროსი შეუძლებელია დიდხანს. შესაძლებელია მხოლოთ შენელება ფრონტების, ერთნაირი „შესვენება“ მათი, მაგრამ ეს მხოლოთ ერთი მიზნით: კვლავ ახალი ძალების მოსაკრებათ და ახალ შეტევაზე გადასასვლელათ, ისევ იარაღით ხელში.

უთქვამთ, რომ ომი არის იგივე პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ სხვა საშუალებით. შეიძლება ითქვას, რომ ზავიც, ჩამოგდებული ასეთი ომების შემდეგ, ან დროებითი „შესვენება“ როგორც არის ჩვენ შემთხვევაში—დამყარებული უშედეგო ინტერვენციების შემდეგ, ბუნებრივი აუცილებლობით გაგრძელებაა ისევ ძველი, სამხედრო დროის პოლიტიკის და სწორედ სამშვიდობო ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკებთან, რის მზადებაში არიან სამხედრო ფრონტებზე დამარცხებული იმპერიალისტური სახელმწიფოები, არის გაგრძელება ძველი პოლიტიკისვე ამ რესპუბლიკების მიმართ, მაგრამ სხვა საშუალებით, ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლის საშუალებით, რომელიც, თუმცა სისხლოვანი არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ ერთი რომელიმე მხარის დამარცხების შემთხვევაში, შეიძლება დაბოლოვდეს იგივე შედეგით, რაც ვერ მიიღეს დაინტერესებულებმა გაშლილი სამხედრო ბრძოლის ასპარეზზე.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის დღეს კითხვა სდგას საბჭოთა რესპუბლიკების იურიდიულად ცნობის შესახებ. რუსეთი ოფიციალურად მიწვეულია ევროპის სახელმწიფოების კონფერენციაზე გენუაში. ეკონომიური მდგომარეობა ევროპის, იძულებულს ხდის მის ბურჟუაზიულ მესვეურებს, შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად „თანამშრომლობა“ სთხოვონ დიდ საბჭოთა ფედერაციას. მათი მიზანია, გამოიყენონ რუსეთი გარკვეული მიზნით და მასთან მომავალი „თანამშრომლობის“ პროცესში შექმნან ხელსაყრელი პირობები, რომ ჩაალრჩონ ახალი ეკონომიკის ჩანასახი რუსეთში. მათი აშკარა განზრახვაა ეს „თანამშრომლობა“ ჩააყენონ ისეთ პირობებში, რომლებიც აღზრდიან და საკმაოთ გაამაგრებენ შინაურ გამოსადეგ ძალებს, რათა მათზე დაყრდნობით გარშემორტყმულმა კაპიტალისტურმა რკალმა უფრო მეტი შანსებით სცადოს მოხერხებულ მომენტში იარაღის ამეტყველება და ამნაირით ფეხწამოდგმული ბურჟუაზიული ეკონომიკა შექნას საიმედო ბაზათ ბურჟუაზიულივე პოლიტიკური ზედნაშენისთვის, რომლის „ზებიაობას“ იკისრებს იმპერიალისტური შტიკი.

როგორია ასეთ პირობებში ის ამოცანები, რომლებმაც უნდა მიიპყროს მთელი ყურადღება ფედერაციის რევოლიუციონური მთავრობისა და მასთან მთელი მშრომელი ხალხის?

საბჭოთა რესპუბლიკებში ტრადიციის სიძლიერეს იპყრობს ის ყველასაგან მიღებული აზრი, რომ ჩვენ გადავედით მშვიდობიანი აღმშენებლობის ხანაში უსისხლო სამეურნეო ასპარეზზე სამუშაოთ და ეს, რასაკვირველია, მართალია იმ აზრით, რომ დღეს, მაგალითად იანვარში, ჩვენი სინამდვილის დღის წესრიგში შტიკი არა სჩანს ისე აშკარათ, როგორც ეს არის ხოლმე ომის დროს, რადგან ის ამბები, რომლებსაც ადგილი აქვს შორეულ აღმოსავლეთში, გამაფრთხილებელია. მაგრამ ხსენებული მშვიდობიანი ფრონტი აღსავსეა ბევრნაირი შესაძლებლობით იმისდა მიხედვით თუ როგორ იწარმოებს იქ მუშაობა. საჭიროა დაჭიმვა მთელი ჩვენი ძარღვების, განვითარება ჩვენი შემოქმედებითი უნარის, მიზან შეწონილათ გამოყენება მშრომელთა რესპუბლიკების ხელში მოქცეულ საწარმოო საშუალებათა და ყველა რესურსების მომჭირნეთ მოვლა პატრონობა, გაძლიერება ეგრედ წოდებულ „მბრძანებელ მაღლობების“ რომ ნაყოფი გასახელმწიფოებრივებული სასახალხო სიმდიდრის დამუშავების დარჩეს მშრომელს, რომ ის არ შეიქნეს ბუნებრივათ აუცილებელზე მეტათ, უცხო და შინაური კაპიტალის კერძათ.

ყოველივე ამისთვის, რასაკვირველია, საჭიროა, რომ რესპუბლიკები უზრუნველ ყოფილი იყვნენ თავზე დაცემისაგან გარედან საჭიროა, რომ მშვიდობიანი მუშაობა სწარმოებდეს ფართო მასშტაბით, გულდასმით. და ცხადია რომ ამ მხრით ხელსაყრელია ის ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, რომლის დამყარებაზე ყურებს უჭედავს ეკონომიური კრიზისისა და საომარ პირობებით აღშფოთებულ ხალხებს ბურჟუაზიული ოქროპირები ევროპაში. მაგრამ მთელი ეს მითქმამოთქმა საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ უბრალო ლითონ სიტყვებათ დარჩება თუ ჩვენი მტრების ხროვა არ დაინახავს ჩვენში საჭირო სიმტკიცეს და სამხედრო ძლიერებას, რომელიც ძირშივე ჩაუკლავს მათ საინტერვენციო განძრახვებს და არ წაართმევს „ხალისს“ იარაღის აჟღარუნებისას. ეს კი მოსახერხებელია მხოლოთ და მხოლოთ ჩვენი შეუწყვეტელი მზადებით ყოველგვარ მოსალოდნელ შესაძლებლობათა სიმტკიცით შესახვედრათ. ამიტომ ჩვენთვის საჭირო ზავის ბედ იღბალი ისევ ჩვენ ხელთ არის. ეგრედ წოდებულ „შესვენების“ ხანაშიაც ჩვენ ერთ წამსაც არ უნდა დავივიწყოთ ძველების თქმულება: si vis pacem para bellum, თუ გსურს ზავი, ემზადე ომისათვის ე. ი. ჩვენ შემთხვევაში, ემზადე საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ძლიერების შესაქმნელათ, მშრომელთა სახელმწიფოს გასამაგრებლათ და გასამტკიცებლათ

ეს ერთი უმთავრესი ამოცანაა, რომელიც უნდა გადაჭრას საბჭოთა ფედერაციამ, რომლისთვისაც უნდა იმუშაოს შეუსვენებლათ კერძოთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა და მათ შორის საქართველომაც.

საკოოპერაციო მოძრაობის დაპყრობა

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც საზოგადოებრივ კლასებსა და ჯგუფებს შორის ბადებს ახალ ურთიერთობას, ჩვენში რამდენიმეთ ცალმხრივათ ხორციელდება; ხორციელდება სახელდობრ ამ პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც წვრილ ბურჟუაზიულ წრეებთან დათმობას ეხება, არ ტარდება ცხოვრებაში და ან თუ ტარდება, ძალიან ნელი ტემპით ამ დათმობისაგან გამოწვეულ მავნებლობის გამნელებელი ღონისძიებანი.

და ეს ხდება იმიტომ რომ ამ პოლიტიკის დედა აზრი ხალხის ფართო მასებისათვის რამდენიმეთ კვლავ ბურუსითაა მოცული.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ვერ შეუგნიათ ან თუ შეუგნიათ ვერ ანხორციელებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ საჭიროა ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსის ცხოვრებაში გატარებასთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებათა მიღება მის ნიადაგზე წარმოშობილ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის შესაფერ კალაპოტში ჩასაყენებლათ და მათი გადამეტებულ გადის დროით ალაგმავათ.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია ძიხმარებელი დარჩეს წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის ბედზე და ეს არც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აქვს ნაგულისხმევი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი ბაზრის რეგულიატორის როლში ვაჭარი და მრეწველი. და რომ ეს ასე მოხდეს და რომ ახალმა პოლიტიკამ ამ მხრივ მავნებლობა არ მოიტანოს, უეჭველათ საჭიროა ამ პოლიტიკის მეორე ნახევრის განხორციელება ე. ი. ბაზრისავე საშუალებით ბაზრის დაპყრობა და წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის შესაფერ კალაპოტში ჩაყენება.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვათა შორის საკოოპერაციო მოძრაობის გაძლიერებასა და მის დაპყრობას. უნდა ითქვას ჩვენში ეს საქმე ძალიან მოისუსტებს და ამ საქმის გარშემო ვერ სწარმოებს სათანადო მუშაობა. ახალი საკოოპერაციო მოძრაობა, ქალაქ ადგილას რომ მუშკოპების დაარსებაში გამოიხატა, სოფელს სრულებით არ შეხებია. იქ ძველებურათაა საქმე და, ან არ არსებობს სრულებით არავითარი კოოპერატივი, ან და თუ არსებობს მომხმარებლის ხასიათისაა და ისიც ქაღალდზე. საწარმოო და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა დაარსებაც მოითხოვს ახალი ეკონომიური პოლიტიკის უმტკივნეულოთ განხორციელება, სავსებით მოკლებულია ჩვენი ქვეყანა და ჩვენი სოფელი. არსებულ კოოპერატივების დასაპყრობათ და მისი მუშაობის გამოსაცოცხლებლათაც ნამეტანი ნელი ტემპით სწარმოებს მუშაობა.

შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის დატოვება, გაგრძელება. საჭიროა ამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეორე ნახევრის პირველ ნახევართან შეფარდებით განხორციელება. საჭიროა მუშათა და გლეხთა და სასოფლო სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივებით ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მოფენა. წვრილ ბურჟუაზიულ წრეების გადამეტებული მადა, ახალი ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე წარმოშობილი, ამ გზით სათავეშივე უნდა იქნას ჩაკლული. ამ პოლიტიკამ უარყო რა რეპრესიული ზომები, როგორც მიზან შეუფერებელი, წამოაყენა ბაზრის დაპყრობის იდეია ბაზრისავე საშუალებით. მრეწველობის სადავეები მის ხელშია მსხვილი მრეწველობის სახით და ქვედა საფეხურებიც მისი გავლენის სფეროში უნდა დარჩეს საკოოპერაციო ორგანიზაციების დახმარებითა და თანამშრომლობით.

ამ საკითხს უეჭველად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და ხელისუფლების ორგანოებისა და პასუხისმგებელ მომუშავე პირთა წინაშე ის მორიგ საკითხათ უნდა დაისვას. დიდათ საჭიროა და საქმისათვისაც სასარგებლო იქნება თუ ამ საქმის მოსაგვარებლათ და ან მის მოგვარებისათვის ნიადაგის ჩასაყრელათ მთელი საქართველოს მასშტაბით დაინიშნება ორკვირეული.

გ. მეზუკე.

წითელი პრესა

ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ უარყოფს საბჭოთა ხელისუფლების განათლების ძველ პოლიტიკას.

ამხ. ე. პრეობრაჟენსკი გაზ. „პრავდაში“ (№ 1) ეხება რა მეცნიერებას მუშათა კლასისათვის ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და ამ მეცნიერების დაპყრობას პროლეტარიატის მიერ, სწერს:

„როდესაც დაიწყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება ცხოვრებაში მთელი თავისი სიგრძე სიგანით, მეშჩანურ წრეებში საკმარისათ ფართოთ იყო გავრცელებული ის აზრი, რომ ცვლილება შეეხებოდა აგრეთვე სკოლასაც იმ აზრით, რომ მოხდებოდა მისი დენაციონალიზაცია, და რომ ბ.ბ. ბურჟუებს მინიჭებული ექნებოდათ „კერძო ინიციატივის“ უფლება ახალგაზრდობის სასკოლო აღზრდის საქმეში მის ხატათ და მსგავსათ. ამ ბურჟუაზიული ილუზიის ამოძახილი არის კიდევ დღესაც. სინამდვილეში კი საქმე **სულ სხვანაირათაა.** თუ კი არის ისეთი დარგი, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლება არა თუ არ დაიხევს უკან ერთი ნაბიჯითაც კი, არამედ სწორედ ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ და მშვიდობიან სამეურნეო მუშაობაზე გადასვლით წავა კიდევ უფრო ჩქარა წინ, ეს არის დარგი სახალხო განათლებისა საერთოდ და კერძოთ დარგი უმაღლესი სკოლის დაპყრობისა მუშურ-გლეხურ უმრავლესობისთვის. პროლეტარიატის დაპყრობა მეცნიერებისათვის და მეცნიერებისა პროლეტარიატისთვის, ეს არის ამოცანა, რომელიც შეიძლება სისრულეში მოყვანილ იქმნეს მხოლოდ ხანგრძლივ პერიოდში, არა იერიშებით მტრის პოზიციებზე, არამედ დაუღალავი ბრძოლით და მოთმინიანი შრომით. ეს მუშაობა საჭიროებს მშვიდობიან პერიოდს, როდესაც პროლეტარული ენერგიის უმთავრესი მასა არაა დაბანდებული ფრონტებზე, დამრტყმელ კომპანიებზე და სხვა. შედარებით სიწყნარის ასეთი პერიოდი უკვე დადგა. სწორეთ ამიტომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ახლა ამ პროგრამის რაიმე შეკვეცაზე კი არა ამ დარგში, არამედ, პირიქით, მის გაფართოებისა და მეთოდიურ გატარებაზე ცხოვრებაში“.

თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ გარემოებას, თუ როგორ უწყლო მდგომარეობაში იყო მუშათა კლასი და ჩვენი პარტია ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ, როდესაც ისინი ძალიან საჭიროებდენ სპეციალისტებს, როდესაც ეს უკანასკნელები საბოტაჟს აცხადებენ, მაშინ აშკარა გახდება ყველასათვის სახალხო განათლების დარგებში მუშაობის გაფართოების საჭიროება.

ახალი არმია და ჩვენი ამოცანა

ახალი არმიისა და ჩვენი ამოცანის შესახებ ამხ. სმირნოვი გაზ. „პრავდის“ (17 იანვ.) მოწინავეში სწერს:

„სამოქალაქო ომი შენელდა. მუშათა კლასმა და გლეხებმა მოიგერიეს კონტრევოლიუციის იერიშები, მიუხედავათ იმისა, რომ სამხედრო გამოცდილება მათ გაცილებით ნაკლები ქონდათ, ვიდრე მათ მოწინააღმდეგეებს. როგორც წითელ არმიელებს, ისე განსაკუთრებით, სარდლობის შემადგენლობას უნდა მიეღოთ ის ბრძოლების ცეცხლში.

ეს ნაკლი შევსებულ იქნა იმ წითელ არმიელის შეგნებით, რომელსაც ესმოდა, რომ ის იბრძოდა თავისი საქმისთვის. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენი არმია ყველაზე უფრო შეგნებული არმიაა მთელ მსოფლიოში. მაგრამ მარტო ერთი შეგნება როდია საკმარისი. წითელ არმიელებმა უნდა იცოდენ სამხედრო საქმე და ქონდეთ წინასწარი პრაქტიკა ამაში. ასეთი ცოდნა არ გვექნება ჩვენ სამოქალაქო ომის დროს, და მოკლებულ ამ თვისებას, ძალიან ხშირათ გვიხდებოდა გასწორება რაოდენობით. წითელარმიელთა მასის შეგნების კიდევ უფრო განვითარება, მასთან ერთად მისთვის სამხედრო ცოდნის მიცემა საფუძვლიანათ, ასეთია ჩვენი ამოცანები არმიის მიმართ მშვიდობიან დროს. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყაზარმა გახდება იმ ადგილათ, სადაც წითელ არმიელს მართლა შეეძლება ისწავლოს, და არა მოიხადოს მარტო სამხედრო ბეგარა. რაც უფრო მეტათ იქნება ეს საქმეთ არა მარტო სამხედრო უწყებისათვის, არამედ ყველა მოქალაქეთათვის, ადგილობრივ მუშათა დეპუტატების საბჭოების, ცალკე დაწესებულებების, ფაბრიკებისა და ქარხნების სახით, მით უკეთესია, მით უფრო მეტად იგრძნობს არმია თავის კავშირს მშრომელ ხალხთან, რომლის ინტერესების დამცველიც ისაა. არმიის აღზრდის საქმეში ახლა მარტო სარდლობის შემადგენლობის ძალებით დაკმაყოფილება შეუძლებელია. მეტად დიდია ცოდნის ის დარგი, რომელსაც უნდა მოერიოს წითელ არმიელმა. პარტია უნდა დაეხმაროს მას ამ საქმეში. მაგრამ ამ პარტიულმა მუშაობამ არ უნდა მიიღოს მოხსენებების შაბლონიური ხასიათი მიმდინარე მომენტზე. პოლიტიკურ ვითარების გარკვევა წითელ არმიელებისათვის აუცილებელი საჭიროა, მაგრამ უნდა მივყვეთ მათ იმ ამოცანების თვალსაზრისით, რომლებიც ისმება ამ ვითარების გამო არმიის წინაშე. მხოლოდ მაშინ იქნება ის მისთვის გასაგები. ამიტომ პარტიისათვის აუცილები საჭიროა ახლო გაცნობა წითელ არმიასთან, კერძოთ სამოქალაქო ომის ისტორიასა და იმ როლთან, რომელიც ითამაშა მასში იმ სამხედრო ნაწილმა, რომელშიაც წარმოებს პარტიული მუშაობა“.

ამხ. სმირნოვის ეს აზრი ჩვენც უნდა მივიღოთ სახელმძღვანელოთ და ჩვენი მუშაობაც საქართველოს ნორჩ ახალგაზრდა წითელ არმიაში აქეთკენ მივმართოთ.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

თბილისის მაზრა

თბილისის მაზრაში სამაზრო საარჩევნო კომისიამ არჩევნები დაიწყო 10 იანვრიდან. სულ მაზრა დაყოფილია 16 თემად და ყველა თემში არჩევნები მიმდინარეობს ნორმალურად, ცენტრიდან დაგზავნილ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. სხვათაშორის არჩევნები დამთავრდა შემდეგ თემებში:

1 საგარეჯოს თემში. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6.092 კაცმა და ქალმა, თემის საბჭო შესდგება—59 დეპუტატისაგან, მათ შორის კომუნისტი 27, თანამგრძნობი 8 და უპარტიო გლეხი 25 (ერთი ქალი).

აღმასკომში შედის 5 წევრი,—ყველა კომუნისტი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია შვიდი დელეგატი მათ შორის 4 კომუნისტი და სამი თანამგრძნობი (ერთი ქალი). არჩევნები ჩატარდა დიდი უმრავლესობის აქტიური მონაწილეობით.

2. სართიჭალის თემში სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4 545 კაცმა და ქალმა. თემის საბჭოს შემადგენლობა—46 დეპუტატი,—მათ შორის, კომუნისტი 25, თანამგრძნობი 15 და უპარტიო გლეხი 6, აღმასკომში შევიდენ 5 წევრი—სამი კომუნისტი და ორი თანამგრძნობი გლეხი. მაზრის ყრილობისათვის არჩეულია 8 დელეგატი (ერთი № პოლკის წარმომადგენელი) მათ შორის 6 კომუნისტი და ორი უპარტიო გლეხი.

3. მარტყოფის თემში სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 7.000 კაცმა და ქალმა. თემის საბჭოს შემადგენლობა უდრის 70 დეპუტატს, მათ შორის კომუნისტი 41, უპარტიო გლეხი—29, აღმასკომში არჩეულია 5 წევრი—ყველა კომუნისტი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია 7 წევრი, მათ შორის 5 კომუნისტი და ორი უპარტიო გლეხი.

4. გომბორის თემში. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 485 კაცმა და ქალმა, საბჭოს შემადგენლობა—10 დეპუტატი, მათ შორის 4 კომუნისტი, 4 თანამგრძნობი და 2 უპარტიო გლეხი. სამაზრო ყრილობისათვის არჩეულია ერთი ამხანაგი,—კომუნისტი. აღმასკომში შედის 3 ამხანაგი, ყველა კომუნისტი.

5. ავჭალის თემში. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.806 კაცმა და ქალმა. საბჭოს შემადგენლობა—18 დეპუტატი, მათ შორის 17 კომუნისტი (ერთი ქალი) და ერთი უპარტიო გლეხი. აღმასკომში შედის სამი ამხანაგი ყველა კომუნისტი. მაზრის ყრილობისათვის არჩეულია ორი ამხანაგი—კომუნისტი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მაზრიდან მიღებული ცნობებით, არჩევნები მთელ მაზრაში მიმდინარეობს ჩინებულად. დიდი უმრავლესობა მშრომელი გლეხობისა ესწრება საარჩევნო კრებებს და საბჭოებში ირჩევენ კომუნისტებს და უპარტიო ღარიბ გლეხებს, მიუხედავათ მენშევიკების პროკლამაციებისა, რომლებიც მოუწოდებენ გლეხობას ბოიკოტისაკენ. ასეთ მოწოდებას მიღებულ ცნობებით, ადგილი ჰქონდა საგარეჯოს და სართიჭალის უბნებში. არჩევნები დამთავრდება 25 | 1, მაზრის ყრილობა მოწვეულია 28 | 1 ა | წ.

თბილისის მაზრის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ვ. მესხი.**

ოზურგეთის მაზრა

სამაზრო საარჩევნო კომისიის მოღვაწეობა.

დაარსებისთანავე კომისიამ ცალკე ფურცლებით გაავრცელა მცხოვრებლებში თბილისის კომიტეტის მოწოდება.

გამოსცა ადგილობრივად გურიის მშრომელ ხალხისადმი მოწოდება.

დაგზავნა თემებში დირექტივებით დროებითი ინსტრუქტორები, რომლებმაც მოაწყვეს ყველა თემში საარჩევნო კომისიები. საარჩევნო კომისიები დღიდან დაარსებისა შეუდგენ ამომრჩეველთა სიების შედგენას.

მაზრა დაყოფილია 16 რაიონათ. თვითეულ რაიონში 13 იანვრიდან დაიგზავნა ოცამდე ინსტრუქტორი; უმეტესათ ძველი აქტიური ამხანაგები გურიის კომიტეტიდან და რევკომის წევრები, რომლებმაც თან წაიღეს სათანადო ინსტრუქციები, ცენტრიდან მიღებული ბლანკები და ლიტერატურა. ამ ამხანაგებს დაევალათ არჩევნების ხელმძღვანელობა და ჩატარება ბოლომდის. ისინი რჩებიან თავიანთ რაიონებში მუდმივათ, სანამ არ დამთავრდება არჩევნები.

ინსტრუქტორებს დაევალათ წინასწარი მასსიური კრებების მოწვევა.

არჩევნები თემებში დაიწყება 23 იანვრიდან, ერთი კვირის განმავლობაში უნდა დამთავრდეს ყველა თემებში.

სამაზრო საბჭოთა ყრილობის მოწვევის დღით სამაზრო კომისიას დანიშნული აქვს 5 თებერვალი.

სამაზრო კომისიის თავმჯდომარე **დოლიძე.**

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევ ცენტრალურ საარჩევნო კომისიისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უკვე მოწყობილია ყველა მაზრებში სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიები. არჩევნებისათვის სააგიტაციო კამპანიის საწარმოებლად მასალები უკვე დამზადებულია და საგანგებო პირების საშუალებით გადაგზავნილია ყველა მაზრებში, ბათუმის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქებში და აგრეთვე აფხაზეთში. ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიმდინარე მუშაობას შეადგენს საარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ტეხნიკური აპარატის შექმნა ადგილობრივ, კომისიის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად. ეს მუშაობა მრავალ მაზრებში უკვე გათავებულია და დანარჩენებში სწარმოებს ადგილობრივ სამაზრო პარტიული კომიტეტები. პარტიული მობილიზაციის საშვალებით გზავნიან ადგილობრივ საარჩევნო კომისიის განკარგულებაში პასუხისმგებელ ამხანაგთა საკმაო რიცხვს: ხოლო იმ ადგილებში, სადაც ასეთების ნაკლებობა არის—ცენტრალური საარჩევნო კომისია აგზავნის მათ. ამრიგად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაგზავნილია სხვა და სხვა ალაგას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ჯერ-ჯერობით ოცდაათი ინსტრუქტორი. ამრიგად ადგილობრივი საარჩევნო ტეხნიკური აპარატების მოწესრიგების საქმე ორ-სამ დღეში უკვე დამთავრებული იქნება. პარალელურად ამასთან ცენტრალური საარჩევნო კომისია საჭიროების და შეძლების მიხედვით, გარდა ტეხნიკურ ინსტრუქტორებისა, ადგილობრივი საარჩევნო აპარატების ცენტრალურ კომისიასთან დაკავშირების მიზნით აგზავნის მაზრებში თავის რწმუნებულებს, არჩევნების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს და დაახლოებით 25 იანვრიდან დაწყებულ იქნება არჩევნები მაზრებში. გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის ოლქი. სადაც უკვე საოლქო ყრილობაც დამთავრებულია და აგრეთვე თბილისის მაზრა სადაც დაწყებულია არჩევნები, საარჩევნო კომპანია იმ ანგარიშით, რომ 10 თებერვლისათვის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე მოწვეულ იქნეს საბჭოთა სამაზრო ყრილობები. როგორც სამაზრო, აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობათათვის და წევრთათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისია—დამზადებული აქვს ყველა საანკეტო მასალები. ანკეტები თემის საბჭოს, სამაზრო ყრილობების და მათი აღმასრულებელ კომიტეტისა და ცალკე წევრთათვის უკვე გადაგზავნილია ყველა მაზრაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, ადგილობრივ სააგიტაციო კამპანიის გასაძლიერებლად უკვე გაგზავნილია რკინის გზის ლიანდაგის ყოველ მიმართულებით აგიტ-მატარებელი ინსტრუქტორებით.

ც. ს. კომ. მორიგ სამუშაოს შეადგენს სამზადისი, საბჭოთა სამაზრო ყრილობების სათანადოდ ჩასატარებლად, და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის დღისათვის ამ თავითვე თადარიგის დაჭერა: კომისია უკვე შეუდგა ამ მორიგი საკითხის მოწესრიგებას და გადადგა რამოდენიმე წინასწარი ტეხნიკური ხასიათის ნაბიჯები.

წყალწაღებულნი

ამას წინეთ ჩვენ მოვიყვანეთ ევროპის ბურჟუაზიული გაზეთების ცნობები შესახებ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში აჯანყებების. სტამბოლის ქვაფენილებზე მოხეტიალე ქართველ მენშევიკების „უტყუარი“ ცნობების მიხედვით, აჯანყების ალში გახვეულია საბჭოთა საქართველო, დუშეთი და ზოგი სხვა ქალაქი აღებული აქვთ მენშევიკებს, ბათუმი ხელიდან ხელში გადადის, თბილისის საბჭოში სულ მენშევიკები გავიდნენ და სხ. ახლა ჯერი მიმდგარა დასავლეთ საქართველოზე საერთოდ. გაეცანით ქვევით მენშევიკების „დიპლომატიური მისსიის“ ცნობას და მოკვდით სიცილით, თუ ტირილი არ გსურთ წყალწაღებულ დიპლომატების უბედურების გამო.

აი ეს ცხელ-ცხელი დეპეშები:

ბორდო, 14 იანვ. საფრანგეთის რადიოსადგური ლაფაიეტი იტყობინება, „საქართველოს დიპლომატიური მისსიის ცნობით, საბჭოთა საოკუპაციო ჯარებმა სრული დამარცხება იგემეს დასავლეთ საქართველოში. მთელი დასავლეთი საქართველო განთავისუფლებულია. მოსახლეობის აღფრთოვანება კალმით არ აიწერება“.

ნაუენი, 15 იანვ. გერმანიის რადიოსადგური იტყობინება: „დამარცხებულ რუსის საოკუპაციო ჯარებმა ევაკუაცია მოახდინეს დასავლეთ საქართველოსი“.

ჰანოვერი, 15 იანვ. გერმანიის რადიოცნობა: ბერლინის საელჩო (ალბათ მენშევიკების „საელჩოა“ ნახსენები. რედ.) იტყობინება: „საოკუპაციო ჯარები გარბიან საქართველოს რესპუბლიკიდან“.

სამი წელიწადი იცუცლუტეს და იცრუპენტელეს ქართველ მენშევიკებმა. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჭორის და ცილისწამების კოცონი დაანთეს, მაგრამ ვერ გადაურჩნენ ისტორიის განაჩენს. ახლა, ევროპაში გახიზნულნი, თავს ინუგეშებენ ასეთი სწორი ცნობებით.

* * *

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ოზურგეთის მაზრა

(საქ. რევკომის საინფ. განყ. ცნობა)

მიწის გარშემო. საადგილ მამულო განყოფილება არსებობს დიდიდან საბჭოთა უფლების დამყარებისა. განყოფილებამ თავდაპირველად გამოარკვია თუ რამდენი სახნავ-სათესი საფონდო მიწები ყოფილა მაზრაში წინათ და აღმოჩნდა სულ 26.215 ქცევა სახნავი მიწა, ამ ჟამად მაზრა დაყოფილია 10 სამიწათმზომლო რაიონათ. ამ რაიონების მიხედვით ეს 26,215 ქცევა მიწების მდებარეობით განაწილდებიან შემდეგნაირად: სუფსის რაიონში—11,466 ქცევა; ნატანების—4,133 ქც.; ჭურიანთის—2 506 ქც.; ოზურგეთის—389 ქც; ჯურუყვეთის—693 ქც.; ნიგოითის—4,600 ქც.; ლაიჩხუთის—715 ქც; ბასილეთის—258 ქც; აკეთის—1,375 ქც; ნაგომარს—საფონდო მიწები არა აქვს. როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, მთელი აღმოსავლეთი გურია მოკლებულია სახნავ-სათეს მიწებს, ამისათვის სამიწათმოქმედო კომისიას მოუხდა მეყანეების გადაჯგუფება, რასაც კოლეგიამ მოანდომა მთელი გაზაფხული და უნდა ითქვას, რომ ამ გადაჯგუფებას მეყანეთა შორის არავითარი უკმაყოფილება არ გამოუწვევია. გამწვავებული იყო ამ ნიადაგზე საქმე მოსაზღვრე მაზრებთან, ქუთაისთან და სენაკთან, ვინაიდან საჭირო იყო გურულ მუშებზე გადასულიყო ამ მაზრებში მდებარე ის მიწები, რომელთაც ფაქტიურად გურულები ამუშავებდნენ. კოლეგიამ აქაც საქმე შეთანხმებით გაათავა.

გურიაში არსებობს ძლიერ დაქუცმაცებული წვრილი მიწათმფლობელობა. აი ეს არის მიზეზი, რომ ხშირია გლეხთა შორის საჩივარი, რაც ძლიერ დიდ დროს ართმევდა კოლეგიას, სადაო საკითხების რიცხვი უდრის 1,500. სახნავ-სათესი მიწის ფონდის გასაძლიერებლად გაკაფულ იქმნა 7.300 ქცევა ბუჩქნარი. მთელ მაზრაში ყოფილ მემამულეებს, რომლებსაც ქონდათ დატოვებული ნორმა 7 დესიატინა, ჩამოეჭრათ საყანეთ სავარგისი მიწები და დაურიგდათ სოფლის მუშებს. ამ მიწების რაოდენობა უდრის 6,000 ქცევას.

ამ მუშაობაში კოლეგიას ხელს უწყობდა ადგილობრივად თემებში არსებული მიწის კომიტეტები და მიწის მზომელები. მთელ მაზრაში არსებობს 40 სათემო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში უმთავრესად არიან სოფლის მუშები.

საადგილ მამულო განყოფილებასთან არსებობს: აგრონომიული, სამიჯნაო, სატყეო, ვეტერინალური, აგრარული და საფონდო ქვეგანყოფილებანი და ცენტრის თესვის დროებითი კომიტეტი. გურიაში წელს მოსავალი ძლიერ დააზარალა გვალვებმა და მერე გამუდმებულმა წვიმებმა, ამის გამო წელს მოსალოდნელია შიმშილი. ნიგოითის რაიონი კი უკვე შიმშილობს. 3—4 თვის წინათ იყო აღძრული შუამდგომლობა სათესლე პურის მოწოდების შესახებ, მაგრამ დღემდის ვერ იქნა დაკმაყოფილებული და ამგვარად შემოდგომა უკვე ხელიდან წავიდა. გაზაფხულისათვის მიღებულია ყოველივე ზომები.

განათლების საქმე ოზურგეთის მაზრაში არსებობს 137 სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი უდრის 800 ს. წელს ზედმეტია 100 მდე მასწავლებელი. ყველა სკოლები გადაკეთებულია მთელი არმიის სკოლებად, მათში 8 წლიანი არის მთელს მაზრაში 23, დანარჩენი პირველდაწყებითია. მასწავლებლები დაკმაყოფილებულნი არ არიან ჯამაგირით და სურსათსანოვაგით. სწავლა სკოლებში თავის დროზე დაიწყო. საქმეს აფერხებს შენობის უვარგისობა, ზოგიერთ თემებს ნება დაერთო თვით შეეკეთებინათ სკოლის შენობები, იყო შემთხვევები, როცა სკოლის ხარჯები საზოგადოებაზე იქნა გაწერილი, ცენტრიდან განათლების განყოფილებისათვის ძლიერ მცირე თანხა იქმნა გადმოგზავნილი. განათლების განყოფილების კოლეგია თავიდანვე ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, ამისთვის რევკომმა მოახდინა მისი რეორგანიზაცია. და განყოფილების სათავეში დანიშნა ამხ. ივანე გველესიანი.

განათლების განყოფილებასთან არსებობს პოლიტიკური განათლების განყოფილება და „გრუსტა“. განყოფილების მიერ შეკეთებულ იქნა ადგილობრივი თეატრი სადაც უნდა გაიხსნას საზამთრო სეზონი.

სოციალური უზრუნველყოფა. სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას აუარებელი ღარიბ-ღატაკნი აწყდებიან და ითხოვენ დახმარებას. რომ ყველა მთხოვნელები დაკმაყოფილებულ იქმნენ, ამისთვის საჭიროა დიდი თანხა, რაც არასოდეს არ ქონია განყოფილებას. ყოველ შემთხვევაში განყოფილება შეძლებისადაგვარად უწევდა და უწევს დახმარებას უკიდურეს გაჭირვებულებს.

საზოგადო მუშაობა და შრომის ბეგარა. დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ოზურგეთის მაზრაში ბევრჯელ იყო მოწყობილი საერთო მუშაობა გზებისა და ბოგირების შესაკეთებლად. გურიის უმთავრეს გზატკეცილზე საჯავახოს და ჩოხატაურს შუა მენშევიკების დროს წყლისაგან სრულიად დაქცეული გზა შეკეთებულ იქნა. ნაგომარის რაიონში დაწყებულია მუშაობა დიდი სარწყავი არხის გასაყვანად, ნიგოითის რაიონში ამოშრობილ იქნა ჭაობი. დამუშავებულ იქნა ოზურგეთში სათბობი მასალა და სხვა ამ დარგში რევკომს განზრახული ქონდა კიდევ ბევრის გაკეთება მაგრამ ხელს ძლიერ უშლიდა ხალხის ცუდი ეკონომიური მდგომარეობა და გამუდმებული წვიმები. განზრახულია ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა.

სამოქალაქო მდგომარეობის სიგელების ჩაწერის გარშემო. მაზრაში არსებობს მოქალაქობრივი მდგომარეობის სიგელების ჩამწერი განყოფილება. სასულიერო პირებს ჩამოერთვათ მეტრიკული წიგნაკები და საეკლესიო საბუთები თემებში ჩაწერას აწარმოებენ თვით რევკომები. ამ საქმის თავის დონზე დაყენებას ძლიერ შეუშალა ხელი სარეგისტრაციო წიგნების, ბეჭდების და სხვა საჭირო მასალების ცენტრიდან მიუღებლობამ. წიგნებში ჩაწერილია: დაქორწინება 6 გარდაცვალება 2, განქორწინების 2 და მეტრიკის გაცემა 26.

პოლიტიკური განწყობილება. საბჭოთა სისტემის საწინააღმდეგოდ არ ყოფილა არავითარი გამოსვლა ან სხვა რაიმე უკმაყოფილება. ადგილობრივი ხელისუფლებას და მშრომელ მასას შორის სოლიდარული განწყ ბილებაა,

სათემო რევკომებში.

სათემო და სარაიონო რევკომებ ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის გარემოება, რომ ადგილობრივად მ თითქმის არავითარი შემოსავლ წყარო არა აქვთ, რომლის საშუალ ბითაც მათ შეეძლოთ ადგილობრ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება რაიმეს გაკეთება. მიუხედავად ამის ისინი საერთო ძალით, თვით საზ გადოების დახმარებით უძღვები ადგილობრივ საქმეებს: აუმჯობე ბენ გზებს, აქა-იქ აგებენ ახალ შ ნობებს და აკეთებენ სკოლისა ფოსტა ტელეგრაფის შენობებს, ხ დებს და სხ. მათი მზრუნველი დახმ რებით იწერება და იკრიბება საზოგ ოებაში სხვა და სხვა გადასახადებ ამზადებენ სათბობ მასალას და საე თოდ ყურადღებას აქცევენ მაზრაშ რევოლიუციონური წესრიგის დაცვ საქმეს.

დეზერტირობა და ყაჩაღობა.

დეზერტირობასთან ბრძოლას აწარ მოებს სამხედრო კომისარიატთან არსებული კომისია, რომელიც მეტ ენერგიულად მუშაობს. რაც შეეხებ ყაჩაღობას და ავაზაკობას, გურიაშ ამ მოვლენამ ამ 2—3 თვის წინა იჩინა თავი. სამხედრო რევკომმა მა შინათვე სერიოზული ყურადღება მია ქცია მას და გამოუცხადა სასტიკ ბრძოლა. წინდაწინ წაყენებულ იმ

მტკიცე სული

სულს ლაღი ფრთები ასხია
და დაჰქრის არე-მარეში,
ძველი ქვეყანა შესჯავრდა—
იქ უსიცოცხლო თარეში.

გიჟური ბრძოლა იზიდავს
დღეს ვეღარ წამლავს მას გლოვა,
ძველი სიყალბე ცხოვრების
დიდი ხანია დასტოვა...

დასტოვა ძველი ფიქრები
და ცეცხლის რწმენას ატარებს,—
თან ცეცხლისავე ტალღებში
მტკიცე, წრფელ გრძნობებს აფარებს.

სიცოცხლე-ჟამთა ტრიალში
სჯერა, რომ მხოლოდ ბრძოლაა,
და მასში ჩვენი ფიქრები
გულწრფელი ამოსროლაა..

და ასე ბრძოლის ხალისით
მიმოჰქრის არე-მარეში,
ძველი ქვეყანა შესჯავრდა—
იქ უსიცოცხლო თარეში!..

იონა ვაკელი.

კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

დეკემბრის 20-ს საღამოს სხდომა. კამათი სწარმოებს ამხ. კამენევისა და ბოგდანოვის მოხსენების გარშემო; მრავალ ორატორთა შორის რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კამათში, ამხ. **ბუხარინი** ყურადღებას აქცევს ჩვენი პოლიტიკის შეცვლის ეკონომიურ მიზეზებს; ჩვენ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ—აცხადებს ამხ. ბუხარინი—მეტად წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანაში და ამავე დროს ვცდილობდით ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატით მოგვეხდინა უაღრესად დაჩქარებული ჩვენი მეურნეობის ცენტრალიზაცია; ამან გამოიწვია აღნიშნული აპარატის არა-ჩვეულებრივი გადიდება და არაჩვეულებრივი ხარჯები მისი შენახვისათვის. ეგ უნაყოფო ხარჯები არის ძირითადი ობიექტიური ეკონომიური მიზეზი იმისა რომ ჩვენი ეკონომიური სტრუქტურა აღნიშნულ პერიოდში აღმოჩნდა ნაკლებად რაციონალური ეკონომიური თვალსაზრისით, ვიდრე საქონელ-ანარქიული სტრუქტურა. უზარმაზარი აპარატი მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენ ქვეყანას და ეკონომიური თვალსაზრისით იგი შემაფერხებელი იყო საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, აქ გეზის შეცვლა, გადახვევა აუცილებელი იყო და რაციონალური. აქედან გამომდინარეობს საერთო ამოცანები, რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სწორი პროპორციის დამყარება იმას შორის, რაც შეიძლება აღირიცხოს და იმასა რასიც აღრიცხვაც შეუძლებელია როდესაც საქმე ეხება ცენტრისა და პერიფერიების შეფარდებას „გლავკებისა“ (მთავარი განყოფილებანი) და „არაგლავკების“ მხრით, შვეული „ვერტიკალურის“ და თარაზული (ჰორიზონტალური) ცენტრალიზაციის მხრით და სხვ.,—არსებითად კითხვა მდგომარეობს აპარატის ამ ნაწილთა სწორ შეფარდებაში, რომ ერთის მხრით მათ შთანთქან მინიმუმი უნაყოფო ხარჯებისა და მეორეს მხრით წარმოადგენდნენ მოქნილ, ელასტიურ ფორმას საწარმოო პროცესის განვითარებისათვის.

შემდეგ ამხ. ბუხარინი ხაზს უსვამს ფრიად გავრცელებულ არევდარევას. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის შემეცნებაში. კაპიტალისტური ურთიერთობა სრულიად არ ამოიწურება საქონლის ბაზრის ურთიერთობით. კაპიტალისტური ურთიერთობის შინაარსს წარმოადგენს კაპიტალისტური საკუთრების გაცვლა-გამოცვლა, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის დროს ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ კლასი კოლექტიურად ფლობს ყველა საწარმოო საშვალებას. ჩვენში კი შერეული ფორმაა,—აქ პროლეტარულ მფლობელობის გვერდით სდგას იჯარა, ან კონცესიონერისა და კერძო მწარმოებლის მფლობელობა. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცებთ რა მფლობელობის პროლეტარულ, სახელმწიფოებრივ ნაწილს, მრავალ თანმომყოლ რგოლის სივრცეზე კონტროლი გაუწიოთ და მოვაწესრიგოთ ის, რაც უშუალოდ ჩვენს ხელში არ არის.

უმეტესად მნიშვნელოვანი ჩვენთვის ეხლა არის საწარმოო ძალთა ზრდა ამ ჟამად იგი განუხორციელებელია პროდუქტების რაოდენობისა და საქონლის ტრიალის გადიდების გარეშე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსი აღებულია მტკიცედ და დიდხნით, მაგრამ არა სამუდამოთ. ბევრი ვერ ხედავს იმ ჩანასახსა და ჯანსაღ თესლს, რომელიც წარმოშობს სხვა ნაყარს. ეს გარემოება აღონებს ზოგიერთ ჩვენ ახალგაზდა ამხანაგს და ხელს უშლის მას ნათლად გაითვალისწინოს პერსპექტივა და კომუნიზმის მომავალი.

ამხ. კამენევის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, ჩემი მდგომარეობა ფრიად გაძნელებულია; კონფერენციის წევრები ალბათ მოელოდნენ პასუხის მიღებას ყველა კითხვაზე, რომელიც ბუნებრივად იბადება ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე; ხოლო, ამავე დროს, არ არსებობს ისეთი კითხვა დღეს, რომელიც დაკავშირებული არ იყოს ამ პოლიტიკასთან. მე ჩავიწერე ყველა თემა, რომლის დაწყებას მოხსენებაში მე მასაყვედურებდნენ და მთელი ფურცელი ავავსე. მისაყვედურეს რომ მე არ მოვიხსენიე პროფესიონალი კავშირები, საგარეო ვაჭრობა, ბანკები, გლეხთა კავშირები, დამიწუნეს, რომ არაფერი ვთქვი განაპირა ქვეყნებზე და დასასრულ ბარათებით მეკითხებიან, თუ როგორი იქნება ქალის მდგომარეობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს. ამხანაგებო, ზეგ გაიხსნება საბჭოთა მე 9 ყრილობა და კომისიებში ჩვენ უნდა განვიხილოთ ყველა აღნიშნული კითხვები; ამის გამო, ჩემი მოხსენება განზრახ ისე იყო გამართული, რომ ყურადღების ცენტრად დამესახა ჩვენი საერთო მდგომარეობის გაშუქება და გადაწყვეტა.

ამხ. მილიუტინი აცხადებს: „ჯვაროხრით ეხლავე სად, რომელ ხაზამდე უნდა დავიხიოთ“. ეხლავე წინასწარ ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ეს დამოკიდებულია ბრძოლაზე. საქმე ის არის, კარგი მოსავალი იქნება თუ არა მომავალ წელში და მოგვცემს თუ არა დონის რაიონი ბაქო ნავთის საკმაო რაოდენობას. ამაზე არის დამოკიდებული ჩვენი უკანდახევის თუ შეტევის ხაზი.

ამხ. ლარინი მეტად მისწრებულად და მახვილად ლაპარაკობდა, ყველაფერი ეს ჩემს მიმართ შეიძლება სწორი და სამართლიანია, მაგრამ რაში მდგომარეობს მთავარი კითხვა? იგი მდგომარეობს ორ სიტყვაში—რჩება გეგმა, თუ არ რჩება. ამხ. ლარინს არ სჭირდებოდა ეცნობებინა ჩვენთვის რომ გეგმა საჭირო და აუცილებელია. ყველა მეურნემ და პროლეტარმა იცის, რომ მისთვის საჭიროა გეგმა მეურნეობის წარმოებისათვის იმ ფარგლებში, რომელშიაც მან ეგ მეურნეობა დაიტოვა საკუთარი ხელით დამუშავებისათვის. რაღა მეურნე ვიქნებოდით ჩვენ თუ არ გვეცოდინებოდა რამდენი გვაქვს ქვანახშირი, ან თუჯი, ან პური, ან ფული? ჩვენ არ გვქონდა აქამდე გეგმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს გეგმა საჭირო არ არის. გეგმა მთელი მეურნეობის საფუძველია. ამ მომენტში ეს სრულიად ბუნებრივად იწვევს რაღაც იჭვებს. და როდესაც ლარინის წინააღმდეგ გამოდის ამხ. ოსინსკი და აცხადებს: „მე მსურს მივცე ბაზარს არა 20 პროცენტი, არამედ ყველაფერი“,—ჩვენს წინაშე სდგება ორი სხვა და სხვა პოლიუსი, ორივე მიუღებელი. რომ ამ პარტიულ კონფერენციას მიეღო ლარინისებური, ან ოსინსკისებური რეზოლიუცია, იგი მხოლოდ ერთს დამტკიცებდა,—რომ მან არ იცის მანევრის წარმოება, ვინაიდან მანევრი მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა საშვალო გზაზე გასვლა. უნდა გამოვიყვანოთ მრეწველობა დღევანდელი მდგომარეობიდან, უნდა დავყრდნოთ გლეხის ბაზარს. რამდენ პროცენტს მოითხოვს კოოპერაცია?,—12-ს?,—ეს ძალიან კარგი იქნება. მე 2 პროცენტს ვიცავ, მაგრამ თუ დაგვჭირდა 25 ს მიცემა,—რას იზამ—უნდა მივსცეთ. მაგრამ შეუძლებელია მთელი საქმის თავი დავახვიოთ მხოლოდ იმიტომ რომ, ეს რიცხვი არ უდრის იმ 12 პროცენტს, რომელიც ლარინმა გამოიანგარიშა. პარტია უნდა გაიგოს, რომ აქ მანევრი ხდება. დიდი უბედურება იქნება, თუ ამ მანევრის დროს ჩვენ დავივიწყეთ ის მიზანი, რომლის გულისთვისაც მანევრი დავიწყეთ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მიზანი ვიცით, და არავითარი მანევრი საშიში არ არის, თუ ჩვენ ხელ-ფეხს არ შევიკრავთ, თუ თვითეულ ნაბიჯზე ვწარმოებთ ანგარიშის სამეურნეო გასწორებას, ჩვენ გავიგებთ რას ნიშნავს ეს.

ეხლა ფრიად ძნელია იმის თქმა თუ რას გვაიძულებს მდგომარეობა, და რას გაგვაკეთებინებს.

ამხანაგები ლაპარაკობდნენ ბაზრის განვითარების შესახებ, აღნიშნავდნენ, რომ ბაზარი ვითარდება საკუთარი კანონების მიხედვით. მართალია. ჩვენ, როგორც მარქსისტმა, ვიცით რომ ბაზარი შობს წინააღმდეგობას ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის და ამ ბაზარზე ჩვენ დავიცავთ პროლეტარიატის ინტერესებს. ჩვენ, როგორც პარტია, ვერ დავიჭერთ პოზიციას ბაზრის განვითარების მოშორებით. ვითვალისწინებთ რა ბაზრის განვითარების კანონებს, ჩვენ აქტიურად, შეგნებულათ უნდა ჩავერიოთ მის განვითარების პროცესში.

ამხ. ბუხარინმა გაგვაცნო თუ როგორ წარიმართება მეურნეობის საერთო ხაზი. მან სთქვა, რომ ჩვენში იქნება ელემენტები განსაზოგადოებრივებული მრეწველობისა, რომელიც, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მფლობელი პროლეტარიატის ხელში იმყოფება, და მეორეს მხრით იქნება შერეული ფორმები, სადაც პროლეტარიატის სახელმწიფო, პარტიის დახმარებით მონაწილეობას მიიღებს ბაზარზე თავისი საკუთარი კაპიტალით. ჩვენ გვექნება წმინდა კაპიტალისტური ფორმები და გვიქნება წვრილ ბურჟუაზიული ფორმები. პროლეტარიატს შეუძლია დაიჭიროს აქ მხოლოდ ერთი პოზიცია,—როდესაც განსაზოგადოებრივებული მრეწველობა იწყებს გავლენის მოხდენას, ხოლო დაიჭიროს და უკარნახოს ბაზარს თავისი ნება. რომ ჩვენს განკარგულებაში იყოს პურისა და ნედლი მასალის მრავალ მილიონიანი მარაგი და იგი ბაზარზე გაგვეტანა, ჩვენ შევძლებდით დაგვემყარებია ის სისტემა, რომელიც ჩვენ გვსურს და აქ არავითარი ახალი ეკონომიური პოლიტიკა აღარ იქნებოდა. მაგრამ საქმე ის არის რომ პროლეტარიატის პოტენციონალური ძალა განუზომელია. ამას ვხედავთ ჩვენ ნათლად, ვინაიდან ოქტომბერში მან მოახერხა ყველა ეკონომიური ძალების თავის მფლობელობაში აღება. მაგრამ ამ პროლეტარიატს დღეს არა აქვს საქონელი, მის განკარგულებაში არის პროდუქტების მინიმალური რაოდენობა, მინიმალური რაოდენობა თუჯისა, რკინისა, ნავთისა და სხვ როგორ შეუძლია პროლეტარიატს ამ მინიმალური რაოდენობით კონტროლი გაუწიოს, წარმართოს და უკარნახოს აღნიშნულ ბაზარს თავისი კანონები,—აი კითხვა რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ,—მაგრამ უნდა გადავსწყვიტოთ ისე, რომ გლეხის ბაზრის საშვალებით აღვადგინოთ მსხვილი მრეწველობა და მომავალ წელიწადს გვექნეს მეტი სიმდიდრე. ხოლო შემდეგ, თანდათანი გამდიდრების დროს უნდა დავიპყრათ ეკონომიურად ეს შერეული ფორმები კერძო კაპიტალისტური, წვრილ-ბურჟუაზიული ფორმები.

თუ ჩვენ გვსურს ბაზარზე ბატონობა, ჩვენ მას კბილი უნდა გაუსინჯოთ ყველა მხრიდან, მაგრამ როგორ გაუსინჯოთ? იმავე მეთოდით, რომელიც შექმნილია კაპიტალისტური ტეხნიკის მიერ. რაკი ასეთი ოპერაცია შეუძლებელია სოციალისტური მეთოდებით, რომელიც გამოსადეგია გაერთიანებული, ერთი გეგმაზე მოწყობილი მეურნეობისათვის და გამოუსადეგია კერძო მფლობელობითი ბაზრის მიმართ, ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ აღნიშნულ ტეხნიკას და ამასთანავე ვიკაოხოთ.— ჩვენ უნდა გავსინჯოთ ბაზარი მარტო სახელმწიფო ბანკით თუ ამ ბანკის საშვალებით უნდა შევქმნათ მისი დამხმარე ინსტიტუტი და სასინჯი ისრები. სახელმწიფო ბანკს ექნება 0,1 პროცენტი. მაგრამ ამის საშვალებით იგი იქნება ბატონი ამ აპარატისა და მოახერხებს სათანადო გასინჯვის წარმოებას მე მოვიყვანე მაგალითი მორგანისა და როკფელერისა, იმიტომ რომ მათ შეაქვთ კაპიტალი ერთ ცენტრალ ბანკში, ამასთანავე აქვთ ამ ბანკში 50.1 პროცენტი და ფაქტიურად ბატონები არიან, მათი ტრიალი ბევრად აღემატება შეტანილ კაპიტალს. და როდესაც ჩვენ ვისწავლით ერთი ფუთი თუჯის შეტანას და თუჯით საერთო სიღარიბის დროს, ვიქნებით გაცილებით მეტი რაოდენობის თუჯის მბრძანებელი, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ ეკონომიურ ფრონტზე ჩემი დასკვნა შემდეგია: საჭიროა ვიცოდეთ მრეწველობის დაკავშირება გლეხობასთან. როგორ დავაკავშიროთ აქ იბადება მრავალი კითხვა: სწორი იქნება თუ არა კავშირი, იმ შემთხვევაში, რომ მმართველობა ტრესტების საშვალებით სწარმოებდეს?, შეიძლება ეგ კავშირი უკეთესი იქნეს, რომ ადგილობრივ ორგანოებს გადამწყვეტი ხმის მეტი უფლება მივანიჭოთ? ამას ჩვენ განვიხილავთ სპეციალურ კომისიებში, განვიხილავთ საბჭოთა ყრილობაზე, სადაც საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კრება გამოარკვევს თუ როგორ უნდა მოეწყოს მრეწველობა. მაგრამ პარტიულ კონფერენციაზე განა საჭიროა ამ საკითხის გადაწყვეტა. აქ უნდა გამომუშავდეს საერთო დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორი მრეწველობა უნდა დაუკავშიროთ გლეხობას, რა გზით უნდა აღსდგეს ფულის აპარატი, რა საშვალებით უნდა მოხდეს ოქროს ვალიუტის სასწრაფო აღდგენა, როგორ უნდა გადასწყდეს ბიუჯეტის საკითხი და სხვა.

როდესაც მე ვლაპარაკობდი მაღლობების შესახებ, მე დავასახელე ოთხი მაღლობი. პირველი მაღლობია—მიწის ნაციონალიზაცია, მეორეა—მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, მესამე ტრანსპორტის ნაციონალიზაცია და მეოთხე—ნაციონალიზაცია საგარეო ვაჭრობისა იმ შეზღუდვით, რომელიც მე აღვნიშნე. თუ ეს ოთხი მაღლობი ჩვენს ხელში იქნა ჩვენ გავიმარჯვებთ თუ ნამდვილად დავდგებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე, თუ ადგილი არ ექნა რეციდივიზმს, თუ თვალები არ ავიხვიეთ, თუ პირდაპირ შევხედეთ იმ გარემოებას რომ ამ სეზონში 50 პროცენტი პური დაგვაკლდა, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ემისიის შემცირების მიზნით, ხელი ავიღეთ აუცილებელ მოთხოვნილებათა 50 პროცენტზე, რომელიც ჩვენ უნდა დაგვეკმაყოფილებია და თუ აღნიშნულ მაღლობებს მივუმატებთ კიდევ ერთ მაღლობს, არა ეკონომიური ხასიათისა, არამედ იმ მაღლობს, რომელსაც ეწოდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განუყოფელი დაპყრობა და მისი მოთავსება პროლეტარიატის ხელში, მაშინ, გადაჭრით უნდა ითქვას, ყველა აღნიშნული მაღლობი ერთად უზრუნველყოფს ჩვენ გამარჯვებას. თუ ჩვენ ვისწავლით კაპიტალისტურისებური მბრძანებლობა გლეხის ბაზარზე, პროდუქტების იმ უმნიშვნელო რაოდენობით, რომელიც ჩვენა გვაქვს,—გვეცოდინება წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობის გაწყვეტა მის საკუთარ წვრილ-ბურჟუაზიულ ასპარეზზე. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1922 წლის 22 იანვრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. **ს. ქავთარაძე.**

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხს. ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა, წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერთან—მომხს. ამხ. **ნაზარეტიანი.**

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხს. ამხ. **ტოროშელიძე.**

5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში მომხსენებელი ამხ. **ფილიპე მახარაძე.**

6) კოოპერაცია—მომხს. ამხ. **მიხეილ ოკუჯავა**

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხს. ამხ. **ერქომაიშვილი,**

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში მომხსენებელი ამხ. **ბ კვირკველია.**

9 ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხს. ამხ. **ორახელაშვილი.**

10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხს. ამხ. **დონენკო.**

11 პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ **ქავთარაძე.**

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი;

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.]

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრს და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

5) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**
საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დონენკო.**

ულტიმატუმი მათდამი, რის შემდეგაც უმრავლესობა თავის ნებით გამოცხადდა, ჩააბარა რევკომს იარაღი და ითხოვა პატიება. ვინც არ გამოცხადდნენ, მათ ქონებას ეყო კონფისკაცია და თვით გამოცხადებულ იქმნენ კანონს გარეშე. ბოლოს მათაც ითხოვეს პატიება. ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ გურიაში ყაჩაღობას და ავაზაკობას ადგილი აღარ აქვს.

გენუას კონფერენციისათვის

არც ერთი ნაბიჯი უკან.

განოვერი, 16 იანვარი, (რადიო). კანის კონფერენციის წევრების დაშლის წინ, ინგლისის და იტალიის დიპლომატიურ წრეების ცნობებით, კანიდან ლოიდ ჯორჯმა კატეგორიულად განაცხადა: არც ერთი ნაბიჯი უკან დასახულ გზიდან. ლოიდ-ჯორჯმა და ბონომმა კატეგორიულად დაადგინეს ევროპას აღმდგენ ეკონომიურ კონფერენციაზე მოიწვიონ რატენაუ. ლოიდ ჯორჯმა ოფიციალურად აცნობა რატენაუს, რომ საჭიროა გენუას კონფერენციაზე გერმანიის დასწრება; რატენაუმ გერმანიის მთავრობის სახელით მიიღო კონფერენციაზე მოწვევა. ამ მოწვევის ფაქტიდან რატენაუმ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ გერმანიის მთავრობის მიერ 15 იანვრისთვის კონტრიბუციის გადაუხდელობა არ გამოიწვევს გერმანიისათვის მძიმე შედეგებს.

ინგლისელების სიმშვიდე.

განოვერი. 15 იანვარი, (რადიო). ევროპის დიპლომატიურ წრეებში ბრიანის გადადგომამ გამოიწვია დიდი სენსაცია და სრული დაბნეულობა. საერთო დაბნეულობაში მხოლოდ ინგლისელები იჩენენ სრულ სიმშვიდეს და რწმენას კანის კონფერენციის ყველა დადგენილებების და მათ შორის გენუას კონფერენციის მოწვევის განხორციელებაში. ლოიდ-ჯორჯი ამტკიცებს, რომ საფრანგეთი დამოუკიდებლად მთავრობის შეცვლისა, დაკავშირებულია ვალდებულებებით თავის დელეგაციასთან კანში. ლოიდ-ჯორჯი ჯერ კიდევ შესაძლებლად სცნობს, რომ ბრიანს ხელ-ახლა მიანდონ კაბინეტის შედგენა. ბერლინის პოლიტიკური წრეები უცდიან მდგომარეობის გამორკვევას.

იქნება თუ არა მოწვეული ამერიკა გენუას კონფერენციაზე.

ნაუენი. 16 იანვარი (რადიო). ჩიკაგო ტრიბუნის" ცნობით ამერიკის მთავრობის თანხმობა გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ დამოკიდებული იქნება პროგრამის დეტალებზე, რომელსაც გამოიმუშავებენ მოკავშირეები რუსეთის მიმართ და აგრეთვე ანტანტის სახელმწიფოების მომავალი სამხედრო პოლიტიკის გეგმაზე.

პარიზი. 16 იანვარი. (რადიო). პრეზიდენტმა გარდინგმა პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა: ამერიკის მთავრობამ დასვა საკითხი გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესახებ. ჯერ არავითარი დადგენილება არაა გამოტანილი.

მუხანათური მუშაობა გრძელდება.

ნაუენი. 16 იანვარი, (რადიო) ლონდონის გაზეთი „დეილ მაილი" იტყობინება, რომ სენატორის ხიუკის სახელზე მიღებულია ბევრი წერილობითი პროტესტები ამერიკის მონაწილეობის წინააღმდეგ გენუას კონფერენციაზე. სხვათა შორის მიღებულია ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის გომპერსის პროტესტი. ამ პროტესტებს იმით ასაბუთებენ, რომ გენუას კონფერენცია იძულებული იქნება იცნოს საბჭოთა რუსეთი. წინააღმდეგ, ამერიკის მუშათა პრესა მოითხოვს გენუაში ამერიკის წარმომადგენლის ლენინთან და ტროცკისთან შეხვედრას.

8 მარტი.

ბორდო. 16 იანვარი (რადიო). იტალიის მთავრობის თავმჯდომარემ ბონომიმ დაავალა შანცერს მოიწვიოს 8 მარტისთვის სახელმწიფოების წარმომადგენლები გენუას კონფერენციაზე. შანცერს დაევალა აგრეთვე სთხოვოს საბჭოთა მთავრობას, რომ რუსეთის დელეგატები გენუას კონფერენციაზე აღჭურვილი იყვნენ ფრიად ფართო რწმუნებებით.

უმაღლესი საბჭო.

ნაუენი, 16 იანვ. რადიო. უმაღლეს საბჭოს უკანასკნელი სხდომა კანნაში მოხდა პარასკევს. საბჭომ გადაჭრით დაადგინა განახორციელოს დადგენილება გენუას კონფერენციის შესახებ და ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებს დაუგზავნოს მოწვევის წერილები გენუას კონფერენციაზე.

ბონომის განცხადება.

რომი 15 იანვარი, (რადიო). რომში დაბრუნდნენ თბილისის მთავრობის თავმჯდომარე ბონომი და საგარეო საქმეთა მინისტრი მარკიზ დელა ტორეტო. ბონომიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას იმედი არ აქვს დაკარგული, რომ საფრანგეთის კრიზისი კეთილად დამთავრდეს და რომ ევროპის აღდგენის საქმეც კარგათ წავიდეს. ბონომიმ ხაზი გაუსვა, რომ დადგენილება გენუაში კონფერენციის მოწვევის შესახებ აღარ შეიცვლება. დასასრულ ბონომიმ სთქვა, რომ შესაძლებელია ბრიანის გადადგომამ.

გენუას კონფერენციის აუცილებლობა.

რომი. 16 იანვარი. რადიო. გაზეთი „ტრიბუნა" ბეჭდავს თავის ლონდონელ კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ ლოიდ ჯორჯმა დაადასტურა გენუაში კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა საერთო ზავის საკითხის გადასაწყვეტათ.

გენუას კონფერენციის პროგრამმა.

რომი. 16 იანვარი. რადიო. უმაღლესმა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა პროგრამმა სრულიათ ევროპის ეკონომიურ კონფერენციისა გენუაში დაადგინეს, საბოლოოთ არ გადასწყვიტონ პროგრამის საკითხი, ვიდრე საფრანგეთის კრიზისი არ დამთავრდება.

პუანკარე გენუას წინააღმდეგ.

რომი, 16 იანვარი. რადიო. ჟურნალ „რევიუ-დე-დემონდის" უკანასკნელ ნომერში გრძელდება პუანკარეს წერილის ბეჭდვა, რომელშიაც იგი ილაშქრებს გენუას კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ. კონფერენციის პროგრამაც, პუანკარეს აზრით, არამც თუ გამოურკვეველია, არამედ საშიშიცაა. რომაულ გაზეთ „სტამპას" აზრით, პუანკარე გამოხატავს საფრანგეთის ნაციონალიზმის შეურიგებლობას, რომელიც მძიმეთ აწევს მთელ მსოფლიოს.

საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობისათვის

ინგლისის წინადადება საფრანგეთს.

მოსკოვი. 16 იანვარი. რადიო. ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულობა ჯერ გამოქვეყნებული არაა, მაგრამ ბრიანის პარიზში წასვლის დროს, ლოიდ ჯორჯმა წარადგინა მემორანდუმი, რომელშიაც წინადადება ეძლევა საფრანგეთს, რომ იგი უზრუნველყოფილ იქნება მთელი შეიარაღებულ ძალებით შემდეგი პირობებით: 1. საფრანგეთმა არ უნდა მოითხოვოს ანაზღაურება ევროპის ნორმალურ ეკონომიურ პირობების აღდგენამდე. 2. იგი უნდა დასთანხმდეს რუსეთის დელეგატებთან გენუაში შეხვედრას იმ პირობით, რომ რუსეთი უზრუნველყოფს კერძო კაპიტალების ხელშეუხებლობას. 3. საფრანგეთი თავის საზღვაო პოლიტიკას შეუფარდებს დიდი ბრიტანეთის საზღვაო პოლიტიკას. ამას გარდა მემორანდუმი ბეჯითად მოუწოდებს დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის და მთელი ევროპის საზოგადოებრივ აზრს მხარი დაუჭირონ ევროპის აღდგენის გეგმას, შემუშავებულს ლოიდ-ჯორჯსა და ბრიანს შორის მოლაპარაკების დროს ლონდონში.

მთელი ინგლისური პრესსა, თვით „ტაიმსიც" ესალმება მემორანდუმს. იმის და მიხედვით, რომ მემორანდუმი შედგენილი ყოფილა ბრიანთან ლონდონში მოლაპარაკების შემდეგვე, უნდა ვიფიქროთ, რომ ბრიანი ლონდონშივე დასთანხმდა ევროპის და კერძოთ რუსეთის აღდგენის მთელ გეგმას იმ სახით, რა სახითაც იგი შედგენილი იყო კანნაში. როგორც ჩანს, მემორანდუმის გამოქვეყნება სწორეთ იმ დროს, როცა ბრიანი პარიზში მიდიოდა, უბრალო შემთხვევას როდი მიეწერება.

იტალიის მუქარა.

ბორდო. 16 იანვარი. რადიო. იტალიის გაზეთები აქვეყნებენ ინგლის-საფრანგეთის თავთაცვითი კავშირის პროექტს. და იმედს გამოსთქვამენ, რომ გენუას მომავალი კონფერენცია მოიტანს დადებითი შედეგებს და შეარიგებს გამარჯვებულებს და დამარცხებულებს. ამასთანავე იტალიის პრესსა იტყობინება ავტორიტეტულ წყაროებიდან, იმ შემთხვევაში თუ იტალია მიიღებს უარს ინგლის-საფრანგეთის კავშირის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ, იტალია დაიწყებს მოლაპარაკებას გერმანიასთან იტალია-გერმანიის კავშირის შეკვრის შესახებ.

ლოიდ ჯორჯი და მილიერანი.

ნაუენი. 16 იანვარი, რადიო. ლოიდ ჯორჯმა საფრანგეთის პრეზიდენტის მილიერანის სახელობაზე გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნა, რომ ევროპის გამწვავებულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, მისთვის აუცილებელია თათბირი საფრანგეთის მთავრობის მეთაურთან.

პუანკარეს განცხადება.

ბორდო 16 იანვარი. რადიო. პუანკარეს თათბირი ჰქონდა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან რაულ პერესთან და სენატის თავმჯდომარესთან ლეონ ბურჟუასთან. „მატენი" იუწყება: პუანკარემ განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მოლაპარაკება გამართოს ლოიდ ჯორჯთან საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის შესახებ და რომ იგი ეცდება გააძლიეროს ამ ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობა პუანკარემ განაცხადა, რომ იგი აღფრთოვანებულია უღრმეს მეგობრობის გრძნობით ბრიტანიის ხალხისადმი.

— პარასკევს პარიზის პოლიტიკურმა წრეებმა სხდომები მოახდინეს იმ პოლიტიკურ კრიზისის გამო, რომელიც გამოიწვია მთავრობის გამოცვლამ.

ინგლის-საფრანგეთის კავშირი.

ნაუენი 16 იანვარი რადიო. ლოიდ-ჯორჯმა შეატყობინა ლონდონის პრესსის წარმომადგენელს, რომ იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი შეკრული იყო გენუას კონფერენციამდე. ლოიდ ჯორჯმა ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ მას სურს, რომ ყველა ხალხებს მიეცეს წინადადება ამნაირათვე უზრუნველყონ ურთიერთობის უშიშროება. ეს ზომა თუ არ იქნება მიღებული, ევროპის აღდგენა შეუძლებელია.

— ლონდონის გაზეთების ცნობით, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ევროპის ეკონომიური აღდგენა შეუძლებელია, მანამ ინგლისის საგარეო პოლიტიკას ისეთი დიდი დაბრკოლება ხვდება საფრანგეთის პოლიტიკურ წრეების მხრივ. მთელი ევროპის საკეთილდღეოთ აუცილებელია, რომ რაც შეიძლება ჩქარა გადასწყდეს პოლიტიკური კრიზისი ევროპაში.

— გაზეთების „ბალ მალი"-ს და „გლობი"-ს აზრით, ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა მეტათ გართულებულია. ეს გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლოიდ ჯორჯმა უთუოთ უნდა მიაღებინოს უცვლელათ ინგლის-საფრანგეთის საკავშირო ხელშეკრულობა.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა
ლოიდ ჯორჯი და პუანკარე.

რომი. 15 იანვარი. რადიო. ლოიდ ჯორჯი მივიდა პარიზში მოსალოდნელია ლოიდ ჯორჯის, მილიერანის და პუანკარეს თათბირი.

პარიზი. 16 იანვარი. რადიო. შაბათს ლოიდ ჯორჯსა და პუანკარეს შორის მოხდა თათბირი. პუანკარემ აღნიშნა, რომ საჭიროა საჩქაროდ განხილულ იქნეს დიპლომატიურად ინგლის საფრანგეთის დამოკიდებულების საკითხი. ეს მოლაპარაკება, პუანკარეს სიტყვით, იწარმოებს მეგობრულ კილოთი.

თბილისის საბჭოს პლენუმში

ორშაბათს, 16 იანვარს, მოხდა თბილისის საბჭოს პლენარული სხდომა ამხ. ლადო დუმბაძის თავმჯდომარეობით. პლენუმი გვიან გაიხსნა (საღამოს 7 საათზე) ისიც არა სრული ქვორუმით, მაგრამ დღიურ წესრიგში იდგა საინფორმაციო მოხსენებები.

ამხ. კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსენბურგის ხსოვნას.

ამხ. ლადო დუმბაძის წინადადებით, საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა კ. ლიბკნეხტის და რ ლუქსემბურგის ხსოვნას, რომელთა მოკვლის მესამე წლის თავი წინა დღეს შესრულდა.

ამხ. მამია ორახელაშვილმა მოკლე სიტყვა უძღვნა გერმანიის პროლეტარიატის დაღუპულ მეთაურებს

ჩვენ გვიძნელდება წარმოვიდგინოთ რუსეთის რევოლიუცია ამხანაგ ლენინის და ტროცკის გარეშე,—ამბობს ორატორი. ასევე ძნელია წარმოვიდგინოთ გერმანიის რევოლიუციაც კარლ ლიბკნეხტის და როზა ლუქსენბურგის გარეშე უკანასკნელი იყო ტვინი გერმანიის რევოლიუციისა. იგი იყო მემკვიდრე რევოლიუციონურ მარქსიზმის მთელი თეორეტიულ სიღრმისა. ნათელი გონება, რევოლიუციონური ვნება და გარკვეული წარმოდგენა მუშათა კლასის მორიგ ამოცანებისა—პირველ ადგილზე აყენებდნენ მას გერმანიის პროლეტარიატის მეთაურთა შორის.

კ. ლიბკნეხტი იყო გული გერმანიის რევოლიუციისა აღგზნებული აგიტატორი, დაუცხრომელი ორგანიზატორულ ენერგიით, იგი გამოჩენილ როლს თამაშობდა გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობაში

პიროვნების მნიშვნელობაზე ისტორიაში ჩვენ გვაქვს განსაზღვრული შეხედულობა. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოების განვითარება ვერ დასცილდება ისტორიის კანონების ფარგლებს და პიროვნებას არ შეუძლიან შესცვალოს ისტორიული პროცესის შინაარსი. მაგრამ საზოგადოებრივ განვითარების კანონთა ნათელი გაგებას შეუძლიან გაადვილოს ახალ საზოგადოების მშობიარობის ტანჯვა-წამება.

რ. ლიუქსემბურგის და კ. ლიბკნეხტის სიკვდილი ვერ შესცვლის ისტორიულ პროცესის ძირითად მიმართულებას, ვერ მოსპობს რევოლიუციას, მაგრამ მათმა მოკვლამ თავი მოკვეთა გერმანიის რევოლიუციას.

მერე შეეხო რა აწინდელ საჭირბოროტო საკითხს—უნდა დასთანხმდეს თუ არა ამხ. ლენინი წინადადებას საერთაშორისო კონფერენციაზე წასვლის შესახებ, ორატორმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ამხ. ლენინი არ უნდა წავიდეს დასავლეთ ევროპაში, სადაც დარჩენილნი არიან რუსის თეთრგვარდიელთა ბანდები, სადაც დათარეშობენ იტალიელი შავრაზმელები—ფაშისტები. ჩვენ ნება არა გვაქვს რამე ხიფათი შევამთხვიოთ ამხ. ლენინს, რომლის დაკარგვა შავბედით გავლენას იქონიებს რევოლიუციაზე.

თავისი სიტყვა ამხ. მ. ორახელაშვილმა დაასრულა ძველი თქმულების მოგონებით: იმათ ძვლებზე აღსდგება შურისმაძიებელი". დაღუპულ კ. ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის ძვლებზე უკვე აღსდგა შურის მაძიებელი, მაგრამ არა მათი პირადი მკვლელებისა, არამედ იმ კლასისა, რომელიც აქეზებს მკვლელობისა და სხვა უმძიმეს ბოროტმოქმედებისთვის მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ამხ. მ. ორახელაშვილის სიტყვის დასრულების შემდეგ საბჭომ შეასრულა სამგლოვიარო მარში

სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-9 ყრილობის შესახებ

მოხსენებები სრულიად რუსეთის საბჭოთა მე 9 ყრილობის შესახებ გააკეთეს ამხ ოკუჯავამ რუსულ ენაზე) და ამხ. ბ. მდივანმა ქართულ ენაზე).

მათი მოხსენებების მოსმენის შემდეგ, საბჭო იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

„მოისმინა რა ამხ. ოკუჯავას და ბუდუ მდივანის მოხსენებები სრულიათ რუსეთის საბჭოთა მე 9 ყრილობის შესახებ, თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმი, იწონებს რა სავსებით ყრილობის დადგენილებათა ძირითად დებულებებს პოლიტიკურ, ეკონომიურ, ფინანსიურ და სასოფლო სამეურნეო საკითხებზე, ანდობს აღმასკომს გადაუხვევლათ იხელმძღვანელოს ამ დადგენილებებით თავის მიმდინარე მუშაობაში".

აჭარის საბჭოების ყრილობა

10 იანვარს ბათომში ზეიმით გაიხსნა აჭარის მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელების და მატროსთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა. ყრილობა გახსნა აჭარის რევკომის თავმჯდომარემ ამხ. გამბაროვმა.

ამხ. გამბაროვის სიტყვა.

ამხ. გამბაროვმა ყრილობა გახსნილად გამოაცხადა და სთქვა:

„ამხანაგებო! ქ. ბათომის მუშებისა და აჭარის სოფლებიდან ჩამოსულ გლეხების ის სტიქიური რევოლიუციონური ენტუზიაზმი, რომელიც გამოიხატა დღევანდელ გრანდიოზულ მიტინგსა და მანიფესტაციებში ჩვენი ყრილობის გახსნის პატივსაცემად, ის სიხარული, რომელიც აცისკროვნებს ამ საზეიმო დღის მონაწილე მუშებისა და გლეხების სახეს, მოწმობს მას, რომ მშრომელთა რეალურ ინტერესებიდან გამომდინარე საბჭოთა ხელისუფლების იდეა თან და თან პყრობს მათ გონებას და არ არსებობს ძალა დაიკავოს მისი ადგილია, რადგანაც მშრომელმა მასებმა უკვე იგემეს თავისუფლების სიტკბოება.

შემდეგ ის ამბობს:

„იქ, სადაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში კაპიტალის ინტერესებისა და ბატონ-ყმობის დასაცავად ბობოქრობდა ველური ზოოლოგიური ნაციონალიზმი, იღვრებოდა მოტყუილებულ მუშებისა და გლეხების სისხლი, იქ ეხლა საბჭოების იდეით, გატაცებულებმა მუშებმა და გლეხებმა, მოაცილეს ფეოდალიზმის ბატონობა და დაამსხვრიეს რა ეკონომიური, პოლიტიკური და ნაციონალური მონობის და ჩაგვრის საფუძვლები, ერთდებიან ერთ მჭიდრო კავშირში ერთ ძლიერ ძალად, გატაცებული მთლიანი მისწრაფებით, ერთი ნებისყოფით მოპოებულ სოციალისტურ სამშობლოს ძლიერების გასამტკიცებლად"...

„იცით თუ არა თქვენ ამხანაგებო, ამბობს ის, რომ აჭარის გლეხი უკანასკნელ დრომდი მონა იყო თავის ბეგის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და რომ ის ბეგს უხდიდა ნატურით: სიმინდს, კარაქს, პირუტყვს. იცით თუ არა თქვენ, რომ გლეხი ვერ გაბედავდა გაევლო ცხენით ბეგის სახლის ახლო, ის უნდა ჩამომხტარიყო და ქვეითად გაევლო.

თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იყო დიდი ხნის წინად ბატონ ყმობის დროს და რომ ყველა ეს ფაქტები დაფარულია ისტორიის სქელი მტვერით?—არა, მეგობრებო, ეს სულ ახლო წარსულში იყო, რამოდენიმე თვის წინად. თქვენ გგონიათ რომ ეს არაა ნამდვილი ფაქტები?

ჰკითხეთ იმ ფეოდალებს, რომლებიც ეხლა გლეხურ მეჯლისის ნების თანახმად იმყოფებიან ბათომის ციხეში, რომელიც აგეს მათ და მათმა დამცველებმა მუშებისა და გლეხების სათვის; თუ ისინი არ გამოტყდებიან ამ ბოროტებაში, ჰკითხეთ ამ გლეხურ მასებს და ის დაადასტურებს ყველა ამას".

თავის სიტყვას ამხ. გამბაროვი ასე ათავებს:

„გაუმარჯოს, ამხანაგებო, იმ ბრწყინვალე დღეს, როდესაც რევოლიუციის წითელი ვარსკვლავი მიაღწევს თავის ზენიტს და გაანათებს თავის სხივებით დედა-მიწის ყველა ბნელ ჯურღმულებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს განთავისუფლების დღეს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის მეჩირაღდნეებს რუსეთის მშრომელებს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატსა და აჭარის მშრომელებს!

გაუმარჯოს აჭარის საძირკველს—მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატებს საბჭოთა პირველ ყრილობას!

ამხ. ლამბაროვს ტაშით აწყვეტინებენ სიტყვას და დასასრულ გაუმართეს მას მხურვალე ოვაცია.

მისალმებანი.

საქართველოს რევკომის და საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. კვირკველია. საქართველოს კომპარტიის ბათომის საოლქო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. ბერძენიშვილი, ბათომის საბჭოსაგან—ამხ. ჟღენტი, წითელ მეჯლისისაგან ამხ სიმშიაშვილი და სხვ.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ამხ. ლენინი, კალინინი, ზინოვიევი, ტროცკი, მახარაძე და კვირკველია.

ყრილობამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები ამხ. ლენინს, კომინტერნის აღმასკომს, საქართველოს რევკომს და ამხ. მ ცხაკაიას.

(მეორე დღე)

საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანების შესახებ აჭარაში.

საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანების შესახებ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ამხ. ლამბაროვმა.

ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„აჭარის საბჭოების პირველი ყრილობა. მოისმინა რა ამხ. ლამბაროვის მოხსენება აჭარაში საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანების შესახებ ესალმება აჭარის მშრომელთა ბატონყმური მონობისგან განთავისუფლებას.

ყრილობა მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება სამუდამოდ მტკიცეთ და შეურყევლად იარსებებს აჭარაში და საბჭოთა საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად დაამარცხებს ბურჟუაზიის, ბეგების სახით საერთაშორისო კონტრრევოლიუციას. მშრომელთა ბეგებისაგან, აღალარებისაგან განთავისუფლებასთან ერთად, ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიზნად დაისახავს მხარის ეკონომიურ კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ელექტროფიკაციას, შკოლების მოწყობას, გზების გაყვანას და მხარის დაფარვას კოოპერატივების ქსელით. ამ აღმშენებლობაში, ყრილობას სწამს, რომ აჭარის მშრომელები ბათომის პროლეტარიატთან ერთად გამოვლენ გამარჯვებულნი".

ფედერაციის შესახებ

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ ყრილობამ მოისმინა ამხ. ბერძენიშვილის მოხსენება.

ყრილობა იღებს რეზოლიუციას, რომელიც მხარს უჭერს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას, როგორც პოლიტიკურს და ეკონომიურს აუცილებლობას.

რევკომის მოქმედების შესახებ.

ამხ ქავთარაძის მოხსენების შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციას, რომელიც სწორად სცნობს რევკომის მოქმედებას

მიწის პოლიტიკის შესახებ.

მიწის პოლიტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მგელაძე. ის ამბობს, რომ დამუშავებული საუკეთესო მიწები ეკუთვნოდა ბეგებს და აღალარებს. საბჭოთა ხელისუფლება გამოიყენებს ამ კულტურულ მიწებს აჭარის ღარიბებისათვის. უკვე მოწყობილია მიწის ფონდი, რომელიც განაწილდება გლეხებში.

ყრილობა იღებს რეზოლიუციას, რომელიც იწონებს მიწის პოლიტიკას.

საქართველოს შრომის განყოფილებების გამგეთა პირველი ყრილობა

(19 დეკემბრის სხდომა, 1921 წ.)

ზეგარათა განყოფილების მოქმედება

ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება

(დასასრული. იხ. „კომ." № 14

შრომის და ტვირთ საზიდავმა ბეგარამ უნდა მიიღოს სახე ერთგვარი განსაზღვრული გადასახადისა, რომელიც უნდა გამოიხატოს სამუშაო დღეებში. ეს გადასახადი უნდა მოიხადოს ყველამ, ვინც არ მსახურობს სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებაში. აგრეთვე განთავისუფლებ უნდა იქნას მუშათა [illegible] ყურში და ბი[illegible] თანამშრომლობიერებამ გა- კერძო მწარმო[illegible] ველთ, ხელოსნ[illegible] ბულებებში (ს[illegible] ტელები) და კ[illegible] მუშავეთ, ისინი[illegible]

დან ვერ განთავისუფლდებიან მაგრამ, ყოველ კერძო შემთხვევებში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ რა სარგებლობა მოაქვთ მათ სახელმწიფოსათვის, და რამდენად საჭირო არის მათი მუშაობა საერთოდ წარმოების განვით[illegible] პოლიტიკის სწორი კურსი. ეს ერთი და მეორეც—ის, რომ საწარმოო დაწესებულებებს რეგულიარულად, თუმცა

არის მეორე კატეგორია, ეს მოქალაქენი. მათ რიცხვში უნდა ჩაითვალოს პარაზიტული ელემენტები, სპეკულიანტები, მოვაჭრენი და სხვანი, რომელნიც რასაკვირველია შრომის გადასახადისაგან არ განთავისუფლდებიან, მაგრამ მათი სამუშაოზე გაყვანით ჩვენ ვერაფერ სარგებლობას ვნახავთ, მათ მუშაობას ნაყოფი არ ექნება, მხოლოდ ეს იქნება ერთგვარი დემონსტრაცია. ჩემი ფიქრით ეს საჭირო არ არის. უმთავრესად ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საქმიანობით, მისი ნაყოფიერებით და დემონსტრაციის თავი მივანებოთ. ამას დრო წავიდა, ეხლა მხოლოდ მუშაობაა საჭირო. ამ მოსაზრებით ზემომოყვანილ კატეგორიისათვისაც შრომის გადასახადი უნდა შეიცვალოს ფულზე, რომელიც უნდა იყოს რამოდენიმეჯერ მეტი ვიდრე საბაზრო სამუშაო ქირა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სოფლის მეურნეობისათვის საჭიროა 210 სამუშაო დღე (ეს მაქსიმუმია), დანარჩენი კი 90 თავისუფალია. (უქმეები არ ითვლება), რომელიც ხმარდება არა პირდაპირ მეურნეობას, არამედ ოჯახურ საქმეებს და ვაჭრობას. აქედან გადასახადი უნდა დაწესდეს ისეთი, რომ ის არ იქნეს მეტი 30 დღისა, როგორც ტვირთ საზიდავ საშუალებაზე, ისე შრომაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ შრომის გადასახადიდან თავისუფლდებიან ტვირთ-საზიდავ საშუალების გამძღოლნი, მეურნეები და სხ.

რასაკვირველია, დღიური მუშაობა ძალიან ცოტა ნაყოფს მოიტანს, რადგანაც გამოყვანილები ეცდებიან არაფერი გააკეთონ და სავალდებულო დღეების გათავების შემდეგ შინ დაბრუნდნენ. ამისათვის საჭიროა ამ დღეების ნარდ სამუშაოზე გადატანა. ამ ნარდი სამუშაოს ნორმების გამომუშავების დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ რა პირობებში ხდება მუშაობა. ასეთი წესი ჩვენ მოგვცემს შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ რუსეთში შრომის და ტვირთ საზიდავის გადასახადი განისაზღვრა 6 დღით წელიწადში, მაგრამ ჩვენთვის ასეთი მცირე ნორმა მიუღებელია. რუსეთში დიდი ხანია, რაც დაწყებულია მუშაობა ნორმების აღდგენისათვის, ჩვენ კი ჩამოვრჩით. 1914 წლიდან აქ არაფერი გაკეთებულა, გზები დანგრეულია. (როგორც რკინის გზა, ისე გზატკეცილები) და თუ არ გაკეთდა, მიმოსვლა შეჩერდება. აგრეთვე საჭიროა არხების გაყვანა-შესწორება მოსალოდნელ გვალვის წინააღმდეგ. მეორე მხრივ რუსეთში გადასახადი ტარდება აგრეთვე ქალებზედაც და ამით რიცხვი მუშა ძალისა ნახევრდება. ამისათვის ჩვენ გაცილებით მეტი ნორმა უნდა ავიღოთ, ვიდრე რუსეთშია, ჩემი ფიქრით არა ნაკლებ 25 დღისა. ძველი ნორმა, რომელიც გამოიხატებოდა დაახლოვებით 48 დღე, ამით თითქმის ნახევრდება.

გადასახადის მოხდა უნდა წარმოებდეს ისეთ დროს, როცა სოფლის მეურნეობაში არ სწარმოებს მუშაობა, დაახლოვებით გადასახადის უმეტესი ნაწილი უნდა შესრულდეს დეკემბრიდან მარტამდე. რასაკვირველია ეს დრო ყველა რაიონში ერთი არ იქნება, მაგალ. ბორჯომში მთელი მუშაობა სწარმოებს ზამთრობით, ამისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი პირობები. მდიდარსა და ღარიბ მეურნეებს შორის სხვადასხვა ნორმის დაწესება შეუძლებელია, ვინაიდან ძნელია მათი კატეგორიებად დაყოფა, ნორმა უნდა იქნეს ერთნაირი, მხოლოდ ძლიერ ღარიბები უნდა გათავისუფლდნენ სრულებით გადასახადისაგან. პირველ რიგში გადასახადი უნდა მოიხადოს მდიდრებმა, რადგან საჭირო არ იქნება მთელი ნორმის გამოყენება, გათავისუფლებულ უნდა დარჩნენ ღარიბები. აქამდინ ჩვენ გვქონდა შემოღებული განსაზღვრული მანძილი (რადიუსი), რომელიც უნდა განვლილ ყოფილიყო სამუშაომდე. ის გამოიხატებოდა 30 ვერს. ტვირთ-საზიდავ საშუალებისათვის, და 10 ვერსით ფეხით მოსიარულესათვის. პრაქტიკამ ეს უარყო, ვინაიდან შეუძლებელია, მაგალითად, თივის ან სხვ. რამესი ასეთი წესით გადაზიდვა. მეორეს მხრივ, ასეთი წესის შედეგი იყო ის რომ სოფლელები, რომლებიც დაშორებული იყვნენ სამუშაო ადგილებს, ბევარას სრულიად არ იხდიდნენ. ჩემი ფიქრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ განვლილი მანძილის დრო შევიდეს სამუშაო საათებში, რამდენადაც მეტი იქნება განვლილი გზა, იმდენად შემცირდება სამუშაო დრო.

რაც შეეხება სამუშაო ქირას ბევარაზე გამოყვანილთათვის, მე ვფიქრობ, რომ თვით სიტყვა გადასახადი, რიცხავს სამუშაო ქირის მიცემას. შრომის და ტვირთსაზიდავ საშუალებაზე გადასახადი უნდა იქნეს სრულიად უფასო. ქირის გაღება რომ შეეძლოთ ჩვენ სამეურნეო ორგანოებს, გადასახადიც არ იქნებოდა საჭირო. პრაქტიკა ამას გვიკარნახებს. ჩვენ მიერ დაწესებულ 50 პროც. სამუშაო ქირისა არსად არ გატარდა.

საერთო გადასახადის ნორმაში მხოლოდ უნდა შევიდეს სახელმწიფო მნიშვნელობის გადასახადი, როგორც, მაგალითად: რკინის გზები, შეკეთება გზატკეცილების, არხების გაყვანა, შესწორება, ტყის მასალის დამზადება და სხვ. ადგილობრივი სამუშაონი კი სოფლელების ინიციატივით უნდა კეთდებოდეს, უფასოდ და ნორმის გარეშე. შეუძლებელია მთელი სახელმწიფოს სამუშაოები გადასახადით გატარდეს. ნაწილი უნდა გატარდეს თავისუფალი დაქირავებით. ამისათვის უნდა გათვალისწინებული იქნას წინდაწინვე, თუ რა სამუშაო არის საჭირო მთელი წლის განმავლობაში და ნორმა განაწილდეს პროპორციონალურად. სამეურნეო ორგანოების მიერ გაყვანილების რაციონალურ მოხმარებაზე უნდა იქნეს გატარებული სასტიკი კონტროლი. არ უნდა იქნეს დაშვებული გაყვანილების უხეიროდ გამოყენება. ჩვენ წინდაწინვე უნდა მოვსთხოვოთ სამეურნეო ორგანოებს მუშაობის დაწყებამდე მათ მზათ ჰქონდეთ ყველა სამუშაო საშუალება.

გადასახადის გეგმით ჩასატარებლად და მუშახელის ნაყოფიერების ჩასატარებლად საჭიროა აღრიცხვა შრომის უნარიანებისა და ტვირთსაზიდავ საშუალებების, რის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება თუ რა ძალა გვყავს, და სად. გადასახადის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა სოფლებში აგიტაცია. მათ უნდა შევაგნებინოთ, რომ ეს გადასახადი ამცირებს შრომის ბევარას და მას საზღვრავს. რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომ ეს გადასახადი საჭიროა ისეთი სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც მათ პირდაპირ სარგებლობას მოუტანს (არხები და გზები).

მე ვფიქრობ, რომ შრომის კომისარიატის და მისი ადგილობრივი განყოფილებების უმთავრესი მუშაობა — ეს ბევარის მოგვარებაა. საქართველო არა საწარმოო ქვეყანაა: უმუშევრების რეგისტრაცია და მათი განაწილება ეს ძლიერ მცირე მუშაობას მოითხოვს, ვინაიდან უმუშევრები ჩვენში ძალიან ცოტაა. მათი ძებნა ჩვენ გვჭირდება სანთლით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქ. თბილისს. ამისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ შრომის ბევარის საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის განადგურებამდე მიიყვანს სოფლის მეურნეობას, რომელზედაც დამყარებულია საინდუსტრიო წარმოება, ორივეზე კი რევოლიუციის გამტკიცება და მისი საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვება.

ამხ. გოლაველიძე, მოხსენების შემდეგ აქვეყნებს თეზისებს, რომელსაც ყრილობა ზოგიერთ შესწორებებით იღებს.

პარტიული ცხოვრება

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა თფილისში

(აგიტპროპის ანგარიში დეკემბრის განმავლობაში).

მთელი განყოფილების მუშაობა გაიზარდა ამ თვის განმავლობაში წარსულ თვესთან შედარებითაც კი. თვის დასაწყისში, საბჭოთა საარჩევნო ფართე წინასწარ კამპანიამ განამტკიცა ჩვენი პარტიის გავლენა ქალაქის მუშათა კლასის და ხელოსანთა ფართე წრეებში. საარჩევნო კამპანიის დასრულების შემდეგ, თბილისის პირველი საბჭოს შეკრების შემდეგ, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას მიეცა შესაძლებლობა გადასულიყო პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის დაწყებაზე თვით პარტიის შიგ-

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის
შემეცნებაში. კაპიტალისტური ურთიერთობა სრულიად არ ამოიწურება საქონლის ბაზრის ურთიერთობით. კაპიტალისტური ურთიერთობის შინაარსს წარმოადგენს კაპიტალისტუ-

კითხვების განმარტება მათთვის წინანდებურად წარმოებს ფაბრიკების, ქარხნების და სახელოსნოების მუშათა საზოგადო კრებებზე. გარდა დიდი კამპანიისა საბჭოთა არჩევნების წინ, განყოფილებამ თვის ბოლოს გაატარა „წითელ არმიელის დოვლათის კვირეულის“ კამპანია, დაუკავშირა ის არჩევნებს წარმოებებში მუშების სარაიონო ფართე კონფერენციებისთვის. გარდა ამ საკითხებისა ირჩეოდა საკითხები: ახალ ტარიფებზე, საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე ვაშინგტონის კონფერენციის მუშაობასთან დაკავშირებით და ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ.

სულ ამ თვეში იყო მუშების 267 კრება წარმოებებში და დამსწრეთა
რთო რიცხვი უდრიდა 6594 კაცს.
პოლი [illegible] ბს დავაკვირდებით, საა-
გაიხ ნება საბჭ [illegible] მოულოდნელი
და კომისიებში ჩვ
ლოთ ყველა ელნიშ
ამის გამო, ჩემი მოხს

გამოცხოველება ეტყობა მე-2 რაიონში, სადაც შესდგა 123 კრება 10,483 დამსწრეთი.

შემდეგ მისდევს მე-3 რაიონი, სადაც კრებები წარმოებებში სისტემატიურად და წესიერად იმართება, სულ მოეწყო დეკემბერში 97 კრება, დაესწრო 24 585 კაცი. საბჭოთა საარჩევნო კრებები შესდგა 30, ფინანსიური პოლიტიკის შესახებ 9 კრება, ახალი ტარიფების—15 კრება. იჯარა 2 კრება, მუშათა არტელები 2. მესამე რაიონში კრებებზე წარმოებებში წაკითხული იყო მოხსენებები თემებზე, რომელნიც წარსულში არა ერთხელ ყოფილან გარჩეული: ვოლგის ნაპირების დამშეულთა დახმარება—9 კრება, ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი (საკითხის ზოგადი დაყენება—5 კრება). წინანდებურად ირკვეოდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფედერაციის საკითხი—3 კრება. მუშათა ფართე კონფერენციაზე არჩევნებისათვის შესდგა 26 კრება. ბევრი კრება წარმოებებში მოხმარდა წარმოების მდგომარეობის საკითხს ამა თუ იმ ფაბრიკა-ქარხანაში და სხვა ადგილობრივ საკითხებს. პირველმა რაიონმა, გარდა ყველა რაიონისათვის საერთო კამპანიების და საკითხების, კრებებზე გაატარა არჩევნები თბილისის კვანძის რკინისგზელთა ყრილობისათვის. იქ იყო სულ 20 კრება, მონაწილეთა რიცხვი 1680. ცუდადაა დაყენებული საგიტაციო მუშაობა მე 4 რაიონში, კრებები მიტინგები წარმოებებში იშვიათად იმართება. დეკემბერში იყო მხოლოდ 26 კრება წარმოებებში, 4039 მუშის მონაწილეობით.

პროპაგანდის სფეროში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ განყოფილების წინაშე იდგა პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის დაყენების საკითხი თვით პარტიის რიგებში. ამ სფეროში რაიონებს მიეცა საინსტრუქციო მასალა. გამოვიმუშავეთ და დავგზავნეთ ინსტრუქცია კომუჯრედებში მეცადინეობის საერთო გეგმისა და წესის შესახებ და თვით მეცადინეობის გეგმა, გამოვიმუშავეთ და დავგზავნეთ დებულებანი ლიტერატურულ კოლეგიების შესახებ. დაეგზავნა რაიონებს საინსტრუქციო მიმართვა სარაიონო პარტსკოლებისათვის მობილიზაციის და უპარტიო, ფართე კონფერენციების მოწვევის შესახებ, მოვაწყვეთ საინსტრუქციო მოხსენება რაიონების მუშაკების და პარტიის პასუხისმგებელ წევრთათვის თემაზე „საბჭოთა ხელისუფლების ფინანსიური პოლიტიკა“ და მოხსენება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის შესახებ ბევრი ცდის შემდეგ, რათა მივეჩინა პასუხისმგებელი ამხანაგები კომუჯრედებზე მათში მეცადინეობის საწარმოებლად, მიჩენამ ამ თვეში მოგვცა სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები: ყველა რაიონში მიჩენილი ამხანაგები ესწრებიან კომუჯრედების კრებებს და დაიწყო უჯრედების მეცადინეობა პარტიის პროგრამის შესასწავლად. მიჩენილი ამხანაგებიდან ნაწილი, უფრო დატვირთული სახელმწიფოებრივი საქმეებით, დატოვებულია რაიკომების მუშაობის სადელეგატო და საერთო კრებების ხელმძღვანელობის გასაწევად.

განყოფილებამ მისცა ლექტორები ს. ა. კ. კ. თბ განყოფილების პოლიტანბანის წრისათვის, პროპაგანდის განყოფილებამ აგრეთვე გაგზავნა ლექტორები საქართველოს საგანგებო კომისიის პარტსკოლაში.

ორკვირეული დროგამოშვება სკოლების გამოშვებისა და კურსანტების მობილიზაციას შორის კვლავ გაგრძელდა 4 კვირით, რადგან განყოფილებაში არ იყო სარაიონო პარტიული სკოლების გამგე.

გადაწყვეტილია გარდა 8 ყოფილ სარაიონო სკოლისა, გაიხსნას კიდევ ერთი 2, 3, 4, რაიონების გაერთიანებული სკოლა, რომელშიც მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე, და სკოლა მე-5 რაიონში თათრულ ენაზე.

აგიტპროპის განყოფილების ექსპედიციამ გაუნაწილა რაიონებს ცენტროპეჩატიდან და პარტიის ცეკადან მიღებული ყველა წიგნები: წიგნები და ბროშურები 3320, ჟურნალები 334, გაზეთები 2220; პლაკატები და სურათები 84.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საგიტაციო მუშაობა ზოგადი საკითხებიდან გადავიდა პრაქტიკულ სამეურნეო ამოცანების განმარტებაზე და ვრცელი სამიტინგო სიტყვები შეიცვალა სამეურნეო ცხოვრების პრაქტიკულ კითხვების განხილვით კრებებზე წარმოებებში.

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ განყოფილებამ ვერ მოახერხა ამ ხნის განმავლობაში გაეცხოველებინა საგიტაციო მუშაობა პოლიტიკურ სასამართლოების და ზეპირ და ცოცხალ გაზეთების მოწყობით. გარდა ამისა, განყოფილება აგვიანებდა რაიონულ მუშაკებისათვის ინსტრუქციის გაწევას: ასე მაგალითად, თეზისები სატარიფო საკითხის შესახებ მიეცათ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი გახდა ფართე სჯა ბაასის საგნად უპარტიო მასსებ შორის.

პროვინციაში

საბჭოთა დეპუტატების არჩევნები თაილისის მაზრაში

სართიჭალის რაიონი

ა/წ. იანვრის 12 ს. ს. პატარძეულში იყო მოწვეული საერთო კრება, სადაც უნდა მოეხდარიყო საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

მიუხედავათ ცუდი ამინდისა, კრებას მაინც დაესწრო 800 კაცამდე, რომლებსაც ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება. მათ შორის იყვნენ როგორც კომუნისტები, აგრეთვე უპარტიო მცირე შეძლებული გლეხკაცობაც.

სანამ კრება გაიხსნებოდა ჩემ მიერ იყო შეტანილი წინადადება, რათა თავისით დაეტოვებინათ დარბაზი იმ პირთ, ვინც არ იყვნენ ღირსნი არჩევნებში მონაწილეობის მიღების, რაც იქნა შესრულებული.

კრება გახსნა სათემო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სამანაშვილმა. მე მომიხდა მოხსენების გაკეთება საბჭოს არჩევნების მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგ კომუნისტური პარტიის მიერ წარდგენილი სია შემდეგი ამხანაგებისა ერთხმათ იქმნა დამტკიცებული, მხოლოთ თავი შეიკავა ექვსმა.

საბჭოს დეპუტატებათ იქნენ არჩეულნი.

1) მესხი ვარლამ (კომუნისტი), 2) ქაჯაია აკაკი (კომუნისტი), 3) ელერდაშვილი დიანოს (კომუნისტი), 4 გიუნაშვილი გაბო (კომუნისტი), 5) ლეშინი სტეფან (კომუნისტი), 6) რემეზოვი ივანე (უპარტიო), 7) რემეზოვი ივან მარტიანისძე (კომუნისტი), 8) კოტორაშვილი ალექსანდრე (უპარტიო), 9) ოქროცხვარიძე დავითი (კომუნისტი, 10) ბექიტაშვილი იოსებ. (უპარტიო).

არჩევნების დასრულების შემდეგ გავემგზავრეთ სოფ. ხაშმში არჩევნების ჩასატარებლათ.

აქ ჩვენ ნათლათ დავინახეთ ჩვენი მოწინააღმდეგების ოფიციალური გამოლაშქრება, სჩანდა რომ მენშევიკური „მუწუკები“ კიდევ დარჩენილიყო ზოგიერთებში, რაც გამოიხატა იმაში რომ ჩვენ მიერ გამოკრული მოწოდებები ეხიათ და თავიანთი ს. დ. პ. ც. კ. მოწოდებები გაეკრათ.

კრებას დაესწრენ 450 კაცამდე ხმის მიცემის უფლებით, სადაც ერთხმათ იქნა დამტკიცებული კომპარტიის მიერ წარდგენილი სია; აქაც არჩევნები ჩინებულათ ჩატარდა, რის შემდეგ თანახმათ გლეხების მოთხოვნისა, მე მომიხდა სოფელში მენშევიკური პარტიის წევრების დატუსაღება ხუთი კაცისა, რომლებიც 4 დღის დატუსაღების შემდეგ იქნენ განთავისუფლებული ხელწერილის ქვეშ.

შემდეგ ამისა არჩევნების ჩატარება მოხდა შემდეგ სოფლებში:

1) მარიანფელდი, 2) სართიჭალა, 3 უჯარმა 4) მუხროვანი, 5) და მალხაზოვკა, სადაც არჩევნები საუცხოვოთ ჩატარდა.

ამგვარათ სულ სართიჭალის რაიონში იქმნა საბჭოს დეპუტატებათ არჩეულნი 41 კაცი. მათ შორის 25 კომუნისტი და 16 უპარტიო, მაგრამ კომპარტიის თანამგრძნობი გლეხები.

დამთავრდა რა არჩევნები სართიჭალის რაიონში, იანვრის 14 ს იქნა მოწვეული რაიონის საბჭოთა დეპუტატთა პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა სათემო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სამანაშვილმა.

შემდეგ ამისა ამხ. სამანაშვილი მოუწოდებს ყრილობას აირჩიონ საბჭოს თავმჯდომარე. ერთხმათ არჩეულ იქმა ამხ. ი. ჯანელიძე და მდივნათ ამხ. ვ. ლეჟავა.

ამხ. ჯანელიძე ყრილობას აცნობს დღის წესრიგს.

1) აღმკომის არჩევნები.

2) სამაზრო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

3) სარევიზიო კომისიის არჩევნები.

4) შრომის სექციის არჩევნები.

5) სააღმშენებლო სექციის არჩევნები.

6) სამეურნეო სექციის არჩევნები.

დღის წესრიგი ერთხმათ იქმნა მიღებული. სათემო აღმკომში ერთხმათ აირჩიეს შემდეგი ამხანაგები.

1) ამხ. ჯანელიძე, 2) ამხ. სამანაშვილი, 3) ამხ. ნონიმახერი. (კომუნისტები). 4) ამხ. რატიშვილი (უპარტიო გლეხი), 5) ამხ. ბექ. იაკოვი (უპარტიო).

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვარლ. მესხმა და წითელი ჯარას პოლკის სამხედრო კომისარმა.

შემდეგ ამისა სამაზრო კონფერენციისთვის არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

1 მესხი ვარლამ, 2 ქაჯაია აკაკი. 3) ჯანელიძე ილიკო, 4) გოგიშვილი სიკო, 5) ფურცელაძე აბესალომ, 6) რატიშვილი შაქრო, 7) უსენკო ნიკო.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ამხ ფურცელაძე, ლეშინი და ქარუმიძე.

შემდეგ აირჩიეს შრომის, სააღმშენებლო და სამეურნეო სექციის წევრები, ხუთ ხუთი ამხანაგისაგან.

15 იანვარს მოხდა სართიჭალის აღმკომის 1-ლი სხდომა, რომელზედაც იქნა არჩეული პრეზიდიუმი შემდეგი ამხანაგებისაგან:

1) ილ. ჯანელიძე. (თავმჯდომარეთ), 2) ნ. სამანაშვილი (თანაშემწეთ), 3 გოტლიბ ნონიმახერი.

სერგო მეგრელიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 130.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობრივი დამოკიდებულების შესახებ.

დროებით, საბჭოთა ყრილობის მოწვევამდე, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს რევოლიუციონური კომიტეტების მაგიერ, აღმასრულებელი კომიტეტების არჩევა, ხელისუფლების ორგანოებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, ურთიერთობრივი დამოკიდებულებისათვის უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი:

1. საერთო, სახელმწიფოებრივი ხასიათის და მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტს გამოსცემს მხოლოდ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი (იხილეთ დეკრეტი № 27. მუხ. 1).

2. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ყოველგვარი დეკრეტი, ბრძანება, დადგენილება, განკარგულება სავალდებულოა როგორც სახალხო კომისარებისა, ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთათვის.

3. სახალხო კომისარს ნება ეძლევა გამოსცეს ხოლმე მისი უწყებრივი ქვემდებარეობისამებრ, არსებულ კანონთა ფარგლებში, ბრძანება, დადგენილება, ცირკულიარი და სხვ.

4. სახალხო კომისრის ბრძანება, დადგენილება, განკარგულება და სხვ. სავალდებულოა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოთათვის.

5. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთ არ შეუძლიათ შეაჩერონ უმაღლეს ორგანოთა განკარგულების სისრულეში მოყვანა.

6. საქართველოს ცენტრალურ რევოლიუციონური კომიტეტი,—საჭირო შემთხვევაში,—მიმართავს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სათანადო სახალხო კომისრების მეშვეობით.

7. უკეთუ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი უშუალოდ მიმართავს ადგილობრივ ორგანოს, ამის შესახებ აცნობებს სათანადო სახალხო კომისარს.

8. სახალხო კომისრები თავიანთ განკარგულებას, დადგენილებას, ბრძანებას და სხვ წარუგზავნიან თავიანთსავე ქვეუწყებრივ განყოფილებას ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტისას.

9. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში იმყოფება: მაზრებისა, ქალაქებისა, ბათუმის მხარისა და სამხრეთ-ოსეთის რევოლიუციონური კომიტეტების შინაგანი გამგებლობისა და კომუნალური განყოფილებანი; ამას გარდა, ხსენებული კომისარიატის მეთვალყურეობის ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის პირად შემადგენლობას და მათივე მოქმედებას.

10. მოხსენებას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ აღძრული საკითხებისა და მათივე მოქმედების და საჭიროების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტს წარუდგენს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

11. უკეთუ ერთი სახალხო კომისრის განკარგულება ეხება სხვა სახალხო კომისრის კომპეტენციასაც, განკარგულება უნდა მოხდეს შეთანხმებით და ორთავე სახალხო კომისრის ხელისმოწერით.

12. სახალხო კომისრის განკარგულება უსათუოდ უნდა იქნეს შესრულებული, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს.

13. უკეთუ განყოფილება, რომელმაც განკარგულება მიიღო, არა სცნობს მიზანშეწონილად მის ასრულებას, ამის შესახებ დასაბუთებულ მოხსენებას წარუდგენს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს პრეზიდიუმს, ხოლო თვით განკარგულება სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს, პრეზიდიუმის დადგენილების დამოუკიდებლად.

14. უკეთუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს პრეზიდიუმი დაეთანხმება განყოფილების აზრს და განკარგულების შესრულებას თითონაც მიზანშეწონილად სცნობს, თავისი დასაბუთებული მოხსენება უნდა წარუდგინოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელიც, განხილვის შემდეგ, გამოიტანს საბოლოო და სავალდებულო დადგენილებას

შენიშვნა: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ უმაღლესი ორგანოსათვის მოხსენების წარდგენა განკარგულების სისრულეში მოყვანას ვერ შეაჩერებს და იგი აღსრულებულ უნდა იქნეს.

15. ყოველგვარი მოსაზრება, დადგენილება და სხვ, რომელიც ხელისუფლების სამაზრო ორგანოს № რევ. კომიტეტის სრული შემადგენლობით, საჭიროდ მიაჩნია წარუდგინოს ცენტრალურ რევოლიუციონურ კომიტეტს, უნდა გაეგზავნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, რომელიც შეიტანს მოხსენებას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტში ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის მიერ აღძრული საკითხის გამო.

16. სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის განყოფილებათა მიერ ცალკე აღძრული საკითხი უნდა წარედგინოს სათანადო კომისარიატს, რომელიც ან თითონ გადასწყვეტს მას, ან თავისი მხრით წარუდგენს გადასაწყვეტად ცენტრალურ რევოლიუციონურ კომიტეტს.

17. მაზრის რევოლიუციონურ კომიტეტს მთლად მისი შემადგენლობით უფლება ეძლევა შეაჩეროს სახალხო კომისრის განკარგულება, უკეთუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან მას რომელისამე დებულებას; ხოლო ამ შემთხვევაში იგი ვერ შეეხება განკარგულებას არსებითად და უნდა გამომდინარეობდეს ფორმალური ხასიათის დებულებიდან. განკარგულების შესრულების შეჩერების შესახებ, რევოლიუციონური კომიტეტი დაუყოვნებლივ მოახსენებს სათანადო სახალხო კომისარიატს.

18. უკეთუ რევოლიუციონური კომიტეტი სახალხო კომისრის განკარგულების აღსრულებას შეაჩერებს იმ მოსაზრებით, ვითომც განკარგულება არა კანონიერია და შემდეგ კი გამოირკვევა თვით იმ შეჩერების არაკანონიერება, იმ შემთხვევაში პასუხისგებაში მიიცემა რევოლიუციონური კომიტეტი სრულის შემადგენლობით.

19. ასეთსავე პასუხისგებაში მიიცემა სახალხო კომისარი, რომელმაც გამოსცა უკანონო განკარგულება.

20. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. იანვრის 10.
ტფილისი სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.
გაზ. „კომუნისტზე“
ხელის მოწერის პირობები:
1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.
ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.
პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხ-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.
დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4